გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№120 (1015) 5 - 7 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სახელმწიფომ საყდრისი-ყაჩაღიანს უძრავი ძეგლის სტატუსი კანონდარღვევით მიანიჭა

სასამართლოში მოდავე მხარეებს „ახალგაზრდა ადვოკატები“ მორიგებას სთავაზობენ გვ. 9

პირველი ინტერვიუ ბოიკოტის შემდეგ



არ გამოვრიცხავ, ნაციონალები და რესპუბლიკელები რაღაც პერიოდში დაჯგუფდნენ. დარწმუნებით მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია გითხრათ — ნაციონალურ მოძრაობასთან არც ერთ კოალიციაში, არასოდეს შევალ!.. „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად კი შესაძლებელია ბევრი რამ ვაკეთოთ. გული მწყდება, რომ დღეს სხვადასხვა ფლანგზე ვართ.

როცა უმრავლესობის წევრი გქვია, მოგწონს თუ არა, უმრავლესობის პოზიციასა და პრინციპს უნდა დაემორჩილო! თუ უმრავლესობის აზრს არ ეთანხმები, მარტივად შეგიძლია, მისი რიგები დატოვო...

გამიკვირდა, როცა გამოცდილმა პოლიტიკოსმა კაკო ბობოხიძემ განაცხადა, საპარლამენტო უმრავლესობის არსებობა აუცილებელი არ არისო. სასაცილოზე სასაცილოა! როცა უმრავლესობა იშლება, მაშინ დგება პოლიტიკური კრიზისი

გვ. 3

დავით საგანელიძის სკანდალური პროგნოზი

ზონაზე „წამლის მოძრაობის“ სქემა გვ. 7

პაციმრის დღიური

რას ნიშნავს „პერებროსი“, როგორ მზადდება „კოქტეიღი“ და რაფომ აბრუებენ პაციმრებს ფსიქოტროპული პრეპარატებით

ვინ იყო 34 წლის ჯემალ ისაევი, რომელიც „რეზბადნიცაზე“ ჩამომხრჩვალი იპოვეს

m² დეველოპერული კომპანია შშმ პირებისთვის სამშენებლო პროექტების ადაპტაციის გეგმას ქმნის გვ. 9

ქართველი „განგსტერი თხუნელები“ გერმანიაში დააპატიმრეს

Später saß Irakli K. lachend im Gericht

Maulwurf-Boss stieg schon bei Pocher ein

გვ. 6

გარდაბნის გაძარცვული ქვესადგურის გასაიდუმლოების საქმე – ელექტროსისტემას თალლითობაში ადანაშაულებენ გვ. 6

გასახდომი აბები კლავს!

სიმართლე, რომელიც ყველა ჭარბწონიანმა უნდა იცოდეს! გვ. 8

შინაგან საქმეთა მინისტრი აშშ-ს ვისკონსინის შტატის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მდივანს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე აშშ-ს ვისკონსინის შტატის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მდივან ედ ვოლს და სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) უფროს ტრეისი ნიუვალს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: აშშ-სთან თანამშრომლობა, მიღწეული პროგრესი და სამომავლო გეგმები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მრავალი წელია თანამშრომლობს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროსთან (INL), რომელიც აქტიურად ეხმარება სამინისტროს სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. პროექტები ითვალისწინებს სამინისტროსთვის როგორც მატერიალურ-ტექნიკურ, ასევე, ექსპერტულ დახმარებას სხვადასხვა მიმართულებით.

„ვერსიანიუსი“

„ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის აღგილმდებარეობისთვის რამდენიმე ვარიანტი განიხილება“

ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მინდია ჯანელიძეს შეხვდა. მხარეებმა უელსის სამიტზე საქართველოს მიერ მიღებულ არსებით პაკეტსა და მის იმპლემენტაციაზე იმსჯელეს. ასევე ისაუბრეს საქართველოში ნატო-ს სასწავლო ცენტრის შექმნაზეც: **„ახალ მინისტრს მეორედ შევხვდი. სასიხარულოა, რომ თავდაცვის სამინისტროს კურსი არ შეცვლილა“,** — განაცხადა აპატურაიმ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ კი, აპატურაიმ განაცხადა, რომ: **„რუსეთი კონტროლის მექანიზმების ხელში აღებას სერიოზულად ზრდის. ეს გართულებები უკვე არსებობდა მაშინ, როდესაც ნატო-ს მოკავშირეებმა დაადასტურეს, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, ამიტომ ეს ბარიერები საქართველოს ალიანსისკენ სვლას ხელს არ უშლის“,** — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ. მისივე თქმით, ალიანსი რუსეთ-აფხაზეთს შორის ხელშეკრულების გაფორმებას, აღიქვამს რუსეთის მცდელობად, შეცვალოს ევროპაში საზღვრები, რასაც ნატო არ ეთანხმება და ამას ევროპული უსაფრთხოების თვალსაზრისით ვერ მიიღებს.

რაც შეეხება ნატო-ს საწვრთნელ ცენტრს, აპატურაის განმარტებით, მისი ადგილმდებარეობისთვის რამდენიმე ვარიანტი განიხილება. ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი მიესალმება იმ ოპერატიულობასა და სწრაფ ტემპს, როგორც საქართველო აღნიშნული ცენტრისთვის მუშაობს: **„მივესალმები იმ ოპერატიულობას, რომლითაც საქართველო მუშაობს აღნიშნული ცენტრის ჩამოყალიბების პროცესში. პირველ ნიშნებს უკვე ვხედავ და საქართველოში თავდაცვის სფეროს ექსპერტებიც არიან ჩამოსულები, რომლებიც ქართულ მხარესთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ. აქ უფრო მნიშვნელოვანია იმაზე კონცენტრაცია, რა დანაყოფები გაივლიან ტრენინგს და როგორ ჩაჯდება ის საქართველოს მოთხოვნებში. ეს არის სამუშაო პროცესი და ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, საბოლოოდ განსაზღვროს საუკეთესო ადგილმდებარეობა აღნიშნული ცენტრის ჩამოსაყალიბებლად და, როგორც ვიცი, რამდენიმე ვარიანტი არსებობს“.**

აპატურაიმ ასევე გამოთქვა კმაყოფილება, რომ უწყების ახალ გუნდთანაც გრძელდება უმაღლეს დონეზე თანამშრომლობა.

„ვერსიანიუსი“

ლარი კიდევ გაუფასურდა

საქართველოს ეროვნულმა ბაკმა დოლართან მიმართებაში ლარის ახალი გაცვლითი კურსი დაადგინა. 1 დოლარი 1.8984 ლარი ღირს. 4 დეკემბერს, თბილისში, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების უმეტესობაში კი, ერთ აშშ დოლარს 1.90 ლარად ყიდულობდნენ, ხოლო დოლარის გასაყიდი ფასი 1.92 იყო.

სავალუტო ჯიხურების მეპატრონეების განმარტებით, დოლარის კურსი ფაქტობრივად ყოველ საათში იმატებს. ფასის აწევის შემდეგ კი, დოლარის ყიდვა საგრძნობლად შემცირდა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელის, დავით ონოფრიშვილის განმარტებით, ზოგადად რა პრობლემებიც აქვს ეკონომიკას, ლარის კურსის ცვლილებაში გამოიხატება. ონოფრიშვილი არ გამორიცხავს, საკითხი პარლამენტის განსჯის საგანი გახდეს და დეპუტატებმა პასუხი და არგუმენტები მთავრობის ეკონომიკურ გუნდს მოსთხოვონ: **„მსოფლიოში სრულიად ჯანმრთელი ეკონომიკა არავის აქვს. ეკონომისტებს უყვართ ავადმყოფთან შედარება – როცა პირი დაავადებულია, მას შეიძლება მაღალი პულსაცია ჰქონდეს. საქართველოს ეკონომიკის პრობლემები ამ ეტაპზე ლარის კურსის ცვალებადობაში გამოიხატა და ცხადია, მას გარკვეული მკურნალობა სჭირდება. არის როგორც შიდა, ასევე საგარეო ფაქტორები. გაცვლითი კურსის ცვლილება ყველა მეზობელ ქვეყანაში ხდება, დოლარი მყარდება, თუმცა რიგი ფაქტორები, როგორიცაა ინვესტიციების სიმცირე, ექსპორტის შემცირება და იმპორტის გაზრდა ამაზე დამატებით გავლენას ახდენს. მარტივი მდგომარეობა არ არის, რადგან კურსი რეალურად შეიცვალა, მაგრამ არ მგონია, კიდევ შორს წავიდეს – არის პიკის ფარგლებში“.**

კითხვაზე, ახდენს თუ არა გავლენას ლარის გაცვლით კურსზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ონოფრიშვილი პასუხობს, რომ ამაზე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გარკვეულ გავლენას ახდენს, მაგრამ მთავარი ფაქტორი არ არის.

„ვერსიანიუსი“

საქართველო ინტერნეტის თავისუფლების კუთხით თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა

უფლებადამცველი ორგანიზაცია Freedom House-ის „ქსელის თავისუფლების“ 2014 წლის ანგარიშში საქართველო 26 ქულით ინტერნეტის თავისუფლების კუთხით თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა.

ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, საქართველოს შეფასებისას გასულ წელთან შედარებით არაფერი შეცვლილა. ისევე, როგორც 2013 წლის ანგარიშში, 2014 წელსაც ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვები 8 ქულით შეფასდა, შინაარსთან დაკავშირებული შეზღუდვები — 7 ქულით. რაც შეეხება ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებების დარღვევას, ამ მხრივ საქართველო 11 ქულით არის შეფასებული.

უფლებადამცველი ორგანიზაცია Freedom House-ის ანგარიში 2013 წლის მაისიდან 2014 წლის მაისამდე პერიოდს მოიცავს და მასში 65 ქვეყნის მდგომარეობაა შეფასებული. ანგარიშის ავტორთა თქმით, ზედიზედ მეოთხე წელია მსოფლიოში ინტერნეტის თავისუფლების კუთხით მდგომარეობა უარესდება, განსაკუთრებით კი რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში.

„ქსელის თავისუფლების“ 2014 წლის ანგარიშში ბოლო პოზიციებს სირია, ირანი და ჩინეთი იკავებენ. რაც შეეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, 28 ქულით თავისუფალ ქვეყნებს შორის დასახელდა სომხეთი, ხოლო უკრაინა, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და ყაზახეთი ნახევრად თავისუფალ ქვეყნებს შორის, ბელორუსი და უზბეკეთი კი არათავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

პატრიარქმა ბანკების ხელმძღვანელებს მიმართა, ზამთარში ადამიანებს სახლების გარეშე ნუ დატოვებენ

4 დეკემბერს, სიონის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღესრულა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ტაძარში შეკრებილ მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული მიულოცა. პატრიარქის თქმით, ტაძარი ეს არის სასუფევლის კარიბჭე და ბედნიერია ის ადამიანი და ოჯახი, რომელიც ამ კარიბჭის წინ დგას: **„ტაძარი ეს არის კარიბჭე სასუფეველთან. ბედნიერია ის ადამიანი და ოჯახი, რომელიც დგას ამ კარიბჭის წინ, ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც გრძნობს ტაძრის მნიშვნელობას. ტაძარში განსაკუთრებული მადლი ტრიალებს, მადლი სულისა წმინდისა. მე მახსენდება, როდესაც ვიწყებდით წმინდა სამების ტაძრის მშენებლობას, როდესაც ჩვენ ტაძრის ასაშენებლად ამოვიღეთ ღრმული, ბევრი ფიქრობდა, რით უნდა ამოვსებულიყო ეს ღრმული, შევძლებდით თუ არა ტაძრის მშენებლობას. ჯერ კიდევ არაფერი იყო და ჩვენ ვგრძნობდით, რომ იმ ადგილზე განსაკუთრებული მადლი ტრიალებდა. ხალხს წასვლაც კი არ უნდოდა იქედან. ღმერთმა ამოავსო და აგვიშენა ეს ტაძარი და ამასთან ერთად — ჩვენმა ხალხმა. საერთოდ რასაც აკეთებს ადამიანი, ეს არის მისი ავტოპორტრეტი, ეს იმას ნიშნავს, რომ სულიწმინდის ძალა უხვადაა გადმოსული საქართველოზე. ყოვლადწმინდა სამების ტაძარი უფალმა აგვაშენებინა“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა ქადაგებისას ასევე გაიხსენა თავისი ბავშვობა, როგორ ემზადებოდნენ მისი მშობლები შაბათ-კვირას ტაძარში წასასვლელად. უწმინდესმა ასევე გაიხსენა ვლადიკავკაზში წმინდა ილია წინასწარმეტყველის ტაძარი და ტაძრის ეზოში დასაფლავებული წარმოშობით ბერძენი წმინდა ანასტასია ანდრეევას საფლავი. უწმინდესის თქმით, იგი სასწაულმოქმედი ადამიანი იყო და 1932 წელს გარდაიცვალა. პატრიარქმა ქადაგებისას მრევლს მოუთხრო, როგორ იხილა ერთხელ წირვის შემდეგ მისმა დედამ და ასევე 17-მა ადამიანმა ანასტასიას საფლავზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მაცხოვრით ხელში.

პატრიარქმა ქადაგებისას გაჭირვებულ ხალხზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ საპატრიარქოში მასთან ხშირად მიდიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც ბანკში სესხის გამო სახლები დაკარგეს. უწმინდესმა ბანკების ხელმძღვანელებს მიმართა, ზამთარში მაინც ნუ გამოასახლებენ ამ ადამიანებს საცხოვრებლებიდან: **„მინდა, გაჭირვებული ხალხის მდგომარეობას შევეხო. ხალხმა ბანკებში სესხები აიღო და სახლები ჩადო. ბანკს გამოყავს სახლიდან და ამ შუა ზამთარში ისინი გარეთ რჩებიან. ვთხოვ ბანკის ხელმძღვანელებს, ზამთარში მაინც ნუ გააკეთებენ ამას. მოდიან შემდეგ ეს ადამიანები საპატრიარქოში და ამის გამო ტირიან. ვთხოვთ ბანკების ხელმძღვანელებს, დაეხმარონ, აპატიონ ან სახლი არ იყოს გაყიდული“.**

უწმინდესი ქადაგებისას ბოლო პერიოდში მოსახლეობაში გამოვლენილ აგრესიასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ხალხს აგრესია მოედო და მათთვის სიმშვიდე და მოთმინება ითხოვა უფლისგან.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-ს ძალადობის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას ინტერრელიგიური ჯგუფი უერთდება



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით წამოწყებულ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას ინტერრელიგიური ჯგუფი უერთდება.

უწყების ინფორმაციით, ინტერრელიგიური ჯგუფის სხდომაზე, რომელშიც გაერთიანებულნი არიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქვეყანაში მოქმედი 10 რელიგიური კონფესია, მიღებულია გადაწყვეტილება, მოცემული პრობლემის დასაძლევად ერთობლივი ქმედებები განხორციელდეს. ამასთან დაკავშირებით, გაიმართა კონფერენცია — „რელიგიები ძალადობის წინააღმდეგ“, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიას „არა ძალადობას!“ ეხმიანება.

კონფერენცია საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა და მას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია, საქართველოს ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

პირველი ინტერვიუ ბოიკოტის შემდეგ

„არ გამოვრიცხავ, ნაციონალები და რესპუბლიკელები რაღაც პერიოდში დაჯგუფდნენ“

ეროსუდან შელია
557-100-768

ითხოვს თუ არა ისედაც „უუფლებო“ პრეზიდენტისთვის ვეტოს უფლების შეზღუდვას, რატომ არ გაუკვირდა ნაციონალური მოძრაობის, რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ პოზიციაზე ჩამოყალიბება და რომელ პოლიტიკოსსა თუ პოლიტიკურ სუბიექტს მოუწევს უმრავლესობის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში კოალიციის შემადგენლობის დატოვება? მედიისთვის გამოცხადებული ბოიკოტის შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს.

— ისედაც უუფლებო პრეზიდენტს, რომლის საარჩევნო შტაბსაც თავის დროზე თქვენ ხელმძღვანელობდით, დღეს ვეტოს უფლებასაც რატომ უზღუდავთ?

— პრეზიდენტისთვის ვეტოს გამოყენების შეზღუდვას არ ვითხოვ, მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში არ დამიყენებია. ჩემი განცხადება არასწორი ინტერპრეტაციით გაშუქდა. უბრალოდ, ვთქვი, რომ ამ მხრივ კონსტიტუციაში გარკვეულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე — ერთის მხრივ, ახალი კონსტიტუცია პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის გაჟღერების უფლებას არ აძლევს, მეორე მხრივ, გიორგი მარგველაშვილი, კანონზე ვეტოს დადების შემდეგ, პარლამენტში საკუთარი შენიშვნებით შემოდის. ასე მოხდა „მოსმენების შესახებ კანონის“ შემთხვევაშიც.

— ანუ, თქვენი აზრით, პრეზიდენტს პარლამენტისთვის რეკომენდაციის გაწევის შესაძლებლობაც არ უნდა ჰქონდეს?

— საკანონმდებლო ინიციატივასა და რეკომენდაციებს შორის ზღვარის გავლება რთულია! პრეზიდენტს არ უთქვამს, პარლამენტარებო, მიღებული კანონი კიდევ ერთხელ კარგად გააანალიზეთო, იგი ახალი საკანონმდებლო ინიციატივით შემოვიდა. ამიტომ მართალია, საკონსტიტუციო ცვლილებებს არ ვითხოვ, მაგრამ მიმაჩნია, რომ კანონმდებლობით რეკომენდაციასა და ახალ კანონპროექტს შორის ზღვარი უნდა მოწესრიგდეს. საკონსტიტუციო კომისია ახალი კონსტიტუციის ვერსიაზე მუშაობას მალე დაიწყებს და მის ფარგლებში, მსგავსი საკანონმდებლო ხარვეზებიც გამოსწორდება.

— „ქართული ოცნებისთვის“, პრეზიდენტის გარდა, რესპუბლიკელებიც ერთგვარ პრობლემად იქცნენ. უმრავლესობაში ახალი ოპოზიციური ჯგუფი ხომ არ იქმნება?

— არ მიკვირს, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები კონკრეტულ თემაზე საერთო პოზიციაზე თანხმდებიან. ასეთია პოლიტიკური ცხოვრება. ზოგჯერ მგონია, პრეზიდენტს კომპლექსი გაუჩნდა და მუდმივად ცდილობს, „ქართული ოცნების“ პოზიციას დაუპირისპირდეს, არიქა, პარტიული პრეზიდენტობა არ დამაბრალონო. ამიტომაც ემიჯნება კოალიციას ისეთ საკითხებში, სადაც გასამიჯნი არაფერია. ასეთ ვითარებაში სხვა პოლიტიკურმა ძალებმა სცადეს პრეზიდენტს მიახლოებოდნენ და მასთან ერთად გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფება შეექმნათ.

— დავაზუსტოთ — რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“ ცდილობენ პრეზიდენტთან დაახლოებას „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ?

— ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ნაბიჯია. პოლიტიკაში ყოფნის დიდი გამოცდილება მაქვს, ამიტომ კარგად ვიცი, თითოეული განცხადების უკან რა პოლიტიკური მიზანი იმალება.

> **დიახ, არ გამიკვირდა, რომ რესპუბლიკელებმა და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ „ქართული ოცნების“ მიერ მოწონებულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს. საერთოდ, ცხოვრებაში აღარაფერი მიკვირს. კოალიციისგან პრეზიდენტის გამიჯვნა „თავისუფალ დემოკრატებს“ მოეწონათ და თქვეს, ჩვენც მარგველაშვილთან ვართო. რესპუბლიკელების პოზიცია თავიდანვე გასაგები იყო, რადგან მათ პარლამენტში კანონპროექტის სხვა ვარიანტი შემოიტანეს, მაგრამ საბოლოოდ, ისინიც ამ ფლანგს შეუერთდნენ და დაჯგუფდნენ. როცა უმრავლესობის წევრი გქვია, მოგწონს თუ არა, უმრავლესობის პოზიციასა და პრინციპს უნდა დაემორჩილო!**

პარლამენტში ერთდროულად ორი კანონპროექტი რომ არ შემოსულიყო და პრეზიდენტს მათი განხილვის ვადები ვეტოთი არ შეეზღუდა, კოლეგების მიმართ ასეთი რბილი და ლიბერალური არ ვიქნებოდი. მათ შორის, არც რესპუბლიკური პარტიის და არც თამარ კორძაიას მიმართ, რომელიც ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრია. უმრავლესობიდან მათი გამიჯვნა თავადვე იმით გავამართლე, რომ დროის სიმცირის გამო, ორი კანონპროექტის შეჯერება ვერ მოვასწარით. ამიტომ კამათი პირდაპირ სესიაზე დავიწყეთ.

— ანუ ახლა აფრთხილებთ კოლეგებს, რომ, თუ მომავალში უმრავლესობის მხარდაჭერილ კანონპროექტს გაემიჯნებიან, კოალიციის რიგების დატოვება მოუწევთ?

— იმედი მაქვს, ეს გამონაკლისი შემთხვევა იყო. აბსოლუტურად სხვა პოზიციას დავიკავებდი, მსგავსი მსჯელობა სულ სხვა კანონპროექტზე რომ დაწყებულიყო და დროში შეზღუდულები არ ვყოფილიყავით. ბუნებრივია, უმრავლესობას სხვა პრინციპი და დებულება აქვს. შესაბამისად, თუ უმრავლესობის აზრს არ ეთანხმები, მარტივად შეგიძლია, მისი რიგები დატოვო. ამ შემთხვევაში მხოლოდ ფრაქცია რესპუბლიკელების პოზიციას არ ვგულისხმობ, თამარ კორძაიაც უმრავლესობას გაემიჯნა. თუ არ მოგწონს და შენივე ფრაქციის პოზიციას არ ეთანხმები, მაშინ, წესით, უნდა გახვიდე, არა?

— ამ დონეზე საუბარი უკვე გქონდათ უმრავლესობის შიგნით?

— არა, ცაიტნოტის გამო კოალიციაში საუბრისთვის დრო აღარ გვქონდა. თანაც არ ვართ პოლიტიკური ძალა, რომელიც ვიღაცას პოზიციის შეცვლას აიძულებს. ღმერთმა დაგვიფაროს! ამიტომ მოვლენებს ტრაგიკული ელფერი არ უნდა შევძინოთ.

— თუ თავადვე ამბობთ, რომ ურჩი კოლეგების მიმართ ლიბერალური არ იქნებით, უკვე გასაგებია, რომ უმრავლესობაში თანამშრომლობის პრობლემა დღის წესრიგში დადგა.

— ამ ეტაპზე, უმრავლესობაში წინააღმდეგობებს პირადად მე ვერ ვხედავ. ეს იმას აწყობს, ვისაც ერთი სული აქვს, არიქა, უმრავლესობა დაიშალოს და შესაბამისად მმართველ გუნდს პარლამენტში დასაყრდენი არ ჰქონდესო. გამიკვირდა, როცა რამდენიმე მოწვევის პარლამენტარმა, გამოცდილმა პოლიტიკოსმა კაკო ბობოხიძემ განაცხადა, საპარლამენტო უმრავლესობის არსებობა აუცილებელი არ არისო. სასაცილოზე სასაცილოა! ყველა ქვეყნის საკანონმდებლო ცხოვრებაში უმრავლესობა არსებობს და როცა ის იშლება, სწორედ მაშინ დგება ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი. მსგავსი პრობლემის წინაშე დღეს ბულგარეთი დგას და უკრაინაც ასეთ დღეში მუდმივად იყო. უმრავლესობა რომ დაშლილიყო, ეს სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევდა. მადლობა ღმერთს, ეს არ მოხდა და ყველას დავამშვიდებ, რომ არც მომავალში მოხდება.

— და ნაციონალების, რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ პოზიციაზე ყოფნას მომავალში გამორიცხავთ?

— არ ვიტყვი, რომ რესპუბლიკლელებსა და ნაციონალებს საერთო მიზნები და პოლიტიკური ამოცანები აქვთ, მაგრამ: არასოდეს თქვა — არასოდეს, მით უმეტეს, ჩემ ასაკში და ჩემი პოლიტიკური სტაჟით, არასოდეს ვამბობ — გამორიცხულია რომელიმე პოლიტიკური ძალები გაერთიანდნენ-მეთქი.

> **ახლაც არ გამოვრიცხავ, ნაციონალები და რესპუბლიკელები რაღაც პერიოდში დაჯგუფდნენ. დარწმუნებით მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია გითხრათ — ნაციონალურ მოძრაობასთან არც ერთ კოალიციაში, არასოდეს დავჯგუფდები! ამას გამოვრიცხავ, თორემ „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად შესაძლებელია ბევრი რამ ერთობლივად ვაკეთოთ. გული მწყდება, რომ დღეს სხვადასხვა ფლანგზე ვართ.**

— თქვენ პოლიტიკურ მომავალს ირაკლი ალასანიას გუნდს უკავშირებთ?

— არა, გამოვრიცხავ... ჩემი აზრით, რაც ახლა ირაკლი ალასანიას ირგვლივ ხდება დიდი გაუგებრობაა. არც ალასანიას ვეთანხმები, რომ თავდაცვის სამინისტროში დაწყებული გამოძიება კონკრეტულად მის მიმართ დაწყებული პოლიტიკური შურისძიებაა. ვფიქრობ, მან შეფასებების გაკეთება იჩქარა.

— არადა, როცა ირაკლი ალასანია კოალიციას ტოვებდა, ერთ-ერთი პირველი აცხადებდით, საქმეში კორუფციული სქემები აშკარაა.

— უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, გასაჯაროებული მასალების მიხედვით საქმე სერიოზულ კორუფციულ სქემასთან გვაქვს! მეორე მხრივ, შინაგანად აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მასში ირაკლი ალასანია ჩართული არ იყო. სამწუხაროა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობის ნაცვლად, რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო, განაცხადა არავინაა დამნაშავე, დაკავებულებს თავდებში დავუდგები და ეს პოლიტიკური ზეწოლაა. არათუ უზარმაზარ სისტემაში, ზოგჯერ ოჯახშიც ხდება გაუგებრობა. მაინც მინდა ვიფიქრო, რომ ეს გამიზნული ქმედება კი არა შეცდომა იყო.



გიორგი მარგველაშვილი რადოსლავ სიკორსკის შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი პოლონეთის სეიმის მარშალს რადოსლავ სიკორსკის შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრა და ყურადღება იმ ნაბიჯებზე გაამახვილა, რომელიც საქართველომ ამ პროცესის დასაჩქარებლად გადადგა. განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია და ამ პროცესში პოლონეთის როლი იყო.

სეიმში გამართული შეხვედრისას, ისაუბრეს ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებასა და ამ დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. აღინიშნა, რომ პოლონეთი შეთანხმების რატიფიცირებას უახლოეს პერიოდში გეგმავს.

„უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გაიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და პოლონეთის პარლამენტის სპიკერს შორის. ისაუბრეს ჩვენს მეგობრობაზე და საქართველოს მომავალზე, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ამ პროცესს და ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას უახლოეს მომავალში მოვახდენთ. ასევე გვინდა, რომ გაისად რიგაში მივიღოთ გადაწყვეტილება უვიზო რეჟიმის პროცესის დაწყების თაობაზე, რომელიც ასევე ღია იქნება საქართველოსთვის“, — განაცხადა საქართველო-პოლონეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე მიხაილ შტერბამ.

ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმება უკვე რატიფიცირებული აქვს ევროკავშირის წევრ 9 სახელმწიფოს: რუმინეთს, ლიტვას, ლატვიას, სლოვაკეთს, მალტას, ბულგარეთს, ესტონეთს, უნგრეთს, შვედეთს.

„ინტერპრესნიუსი“

„აფხაზეთი საქართველოს რეგიონია და ჩვენ ე.წ. ხელშეკრულება არ შეგვიძლია ვაღიაროთ“

ევროპის საბჭოს კონგრესის პრეზიდენტი რუსეთსა და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს შორის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას აღმოსავლეთ ევროპაში დესტაბილიზაციის კიდევ ერთ ფაქტორად აფასებს.

ჟან-კლოდ ფრეკონი რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსა და უკრაინაში ბოლო დროს განხორციელებულ ქმედებებს გმობს და აღნიშნავს, რომ ეს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებას ეწინააღმდეგება: **„აფხაზეთი საქართველოს რეგიონია და ჩვენ არ შეგვიძლია, ვაღიაროთ „ხელშეკრულება“, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგაა მიმართული“,** — ნათქვამია ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელ ისუფლების კონგრესის პრეზიდენტის ჟან-კლოდ ფრეკონის განცხადებაში.

რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით, კონგრესმა პოზიცია 2014 წლის ოქტომბრის სესიაზე დააფიქსირა და წევრ ქვეყნებს მოუწოდა, დაიცვან საერთაშორისო სამართლის პრინციპები, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების არდარღვევა.

რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულება 24 ნოემბერს სოჭში გაფორმდა.

„პირველი“

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფი პრემიერთან შეხვედრას ითხოვს

ინტერპარტიულმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, მომავალ კვირას ოფიციალური მიმართვა გაუგზავნოს კოალიციის ლიდერს ირაკლი ღარიბაშვილს, რათა გაიმართოს შეხვედრა როგორც კოალიციის ხელმძღვანელთან, ისე კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან. როგორც ინტერპარტიულ ჯგუფში აცხადებენ, განხილვის საგანი უცვლელია — საარჩევნო სისტემის ცვლილება, შესაბამისად, ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საერთო პროპორციული სისტემით ჩანაცვლება.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ახვლედიანის თქმით, თუ ხელისუფლებას მართლაც სურს, რეალურად კონსტრუქციული ფორმატით აწარმოოს მოლაპარაკება ოპოზიციასთან, ამის შესანიშნავი საშუალება სწორედ საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებისათვის მოლაპარაკების წარმოებაა. ახვლედიანმა იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ამ პროცესის გაჭიანურებას არ დაიწყებს და ინტერპარტიული ჯგუფის შეხვედრა კოალიციის ლიდერთან უახლოეს დღეებში მოხერხდება.

„პირველი“

ბათუმის საახალწლოდ მორთვისთვის ბიუჯეტიდან დაახლოებით 200 ათასი ლარი დაიხარჯება

სამუშაოებს ბათუმის მერიის ტენდერში გამარჯვებული კომპანია „აჭარგანათება“ შეასრულებს. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლის, მალხაზ დარჩიას განმარტებით: **„ამ თანხაში შედის ევროპის მოედანზე ნაძვისხის მონტაჟი და მიმდებარე ტერიტორიების გაფორმება. წელს შევისყიდით ორი ათას ახალ ფერად გირლანდასა და 1500 ცალ ნაძვისხის გირჩას. გათვალისწინებულია ქალაქის ცენტრალური ქუჩების გაფორმება. საახალწლოდ ასევე მოირთვება შენობების ფასადები ქალაქის ცენტრში“.**

„პირველი“

რუსლან პერტაიას თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ რუსლან პერტაია დამნაშავედ 3 ტომარა თხილის ქურდობისთვის სცნო და 5 წელთან ერთად, წინა განაჩენიდან დარჩენილი 5 000 ლარის გადახდაც დაავალა. პერტაიას განცხადებით, იგი უდანაშაულოა და ამ საქმეს თავს შეწირავს.

მისმა ახლობლებმა კი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოსთან აქცია ჩაატარეს და განაცხადეს, რომ განაჩენი უსამართლოა. რუსლან პერტაიას შვილის, ნათია პერტაიას განმარტებით, მიმდინარე წლის 23 აგვისტოს, მამამისი უკანონოდ დააკავეს და ცრუ მოწმეების ჩვენების საფუძველზე, იმ დანაშაულს აბრალებენ, რაც რეალურად არც მომხდარა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენს პერტაიას ადვოკატი გიტა გულუა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

რუსლან პერტაია დაკავებას 48-დღიანი შიმშილობით აპროტესტებდა. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთხელ მიიჭედა ხელები ციხის საკანში მდებარე მაგიდაზე, ასევე გადაიჭრა ვენები და თვითდაზიანებები მიიყენა.

პერტაიას დედამ და შვილმა კი, პროტესტის ნიშნად თავის დაწვაც სცადეს. პროკურორის განცხადებით, რუსლან პერტაია სისხლის სამართლის საქმეზე არაერთხელ ნასამართლევია და ამ კონკრეტული დანაშაულის დროსაც, პოლიციამ ფაქტზე წაასწრო.

„პირველი“

ზურაბ ხარატიშვილი არჩევნებში გამარჯვების სქემას შიფრავს

„თუ არაფერი შეიცვალა, „ოცნებამ“ ცესკო დააკომპლექტა და არჩევნები ასე ჩაატარა, დიდი პოლიტიკური ქაოსი გველის“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი „ვერსიას“ იმ უნივერსალურ სქემაზე უამბობს, რაც საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ნებისმიერ ხელისუფლებას არჩევნებში, დაახლოებით, 40%-იან ფორას აძლევს. რა მექანიზმით უსამმაგდება 20%-იან მთავრობებს რეიტინგი და რატომ გველის ამ საარჩევნო სისტემითა და ცესკო-ს დაკომპლექტების წესით, დიდი ქაოსი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე? — „ვერსია“ „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“ ლიდერთან, ზურაბ ხარატიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— ცოტა ხნის წინ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები დავით უსუფაშვილს შეხვდით. რა შესთავაზეთ პარლამენტის თავმჯდომარეს?

— ინტერპარტიულმა ჯგუფმა მოამზადა წინადადება, რომელიც დეპუტატების არჩევის წესს ეხება — მაჟორიტარული არჩევის წესი საერთოდ უნდა გაუქმდეს და საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდეს. ამოსავალი წერტილი ისაა, რომ თითოეული სუბიექტი რამდენ ხმასაც მიიღებს, ამის პროპორციულიად ექნება მანდატების რაოდენობა. ეს მარტივი და სამართლიანი წესია. თუმცა, ცხადია, ამ სისტემის შემოღებას საკონსტიტუციო ცვლილებები სჭირდება, რაც საკმაოდ რთული საკითხია.

— ეს წესი არც ერთ მოქმედ ხელისუფლებას აწყობს. რა პოზიცია ჰქონდა უსუფაშვილს?

— რა თქმა უნდა, ეს არავის აწყობს. პოლიტიკურად, მაჟორიტარები პარლამენტში, როგორც წესი, ნაკლებად აქტიურობენ და ამავე დროს, ხელისუფლების „ხმების ბეღელსაც“ წარმოადგენენ. ეს სისტემა ჯერ კიდევ მოქალაქეთა კავშირის დროს ჩამოყალიბდა და ყველა შემდეგმა ხელისუფალმა მის „სიკეთეებს“ გემო სწრაფად გაუგო. ეს ხელისუფლებას იმაზე მეტ მანდატს აძლევს, ვიდრე მიღებული ხმების რაოდენობით ეკუთვნის. რაც შეეხება უსუფაშვილს, შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე, საუბარი მხოლოდ საკუთარი პარტიის და არა მთელი ხელისუფლების სახელით შეეძლო, თუმცა ეს მისთვის საინტერესო და მისაღები წინადადება აღმოჩნდა. აქ საკითხავია, ვინ აქცევს ჩვენს ინიციატივის საკანონმდებლო წინადადებად და როგორ მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა. შემდეგი შეხვედრა საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფთან გვექნება. შევხვდებით საპარლამენტო პარტიებსაც, არასამთავრობო სექტორსაც, რადგან მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია.

— საინტერესოა ცესკო-ში არსებული მდგომარეობა: სულ 13 წევრია, აქედან მხოლოდ 6 ზეპარტიული, პარტიულების უმეტესობა „ოცნებისაა“, ზეპარტიულებს კი „ოცნების“ სახელისუფლო ვერტიკალიდან ისევ პრეზიდენტი ამტკიცებს. ამ ვითარებას რა ჰქვია?

— ცესკო-ს დაკომპლექტების წესი თუ არ შეიცვალა, თავად ხედავთ, როგორ მიდის ყველაფერი. პარტიულებიდან „ოცნებას“ 4 წევრი ჰყავს, თითო კაცი — ნაციონალებს, ნინო ბურჯანაძესა და ირაკლი ალასანიას. თუნდაც ამ შემადგენლობიდან გამომდინარე, ხელისუფლებას დიდი ფორა აქვს. ცოტა ხანში, კიდევ 4 ზეპარტიული წევრი შეიცვლება, მათ ვადა გასდით და ახალ, პარლამენტისთვის მისაღებ წევრებს პრეზიდენტი წარადგენს. მოკლედ, „ოცნებისთვის“ ცესკო-ს უმრავლესობის დაკომპლექტება ძალიან ადვილია. ცესკო არჩევნების ადმინისტრაციული ორგანოა, თორემ რეალურად, არჩევნებს საუბნო საარჩევნო კომისიები ატარებენ, ცენტრალურ და საოლქო კომისიებს კი ორგანიზაციული ფუნქცია აქვთ. ჩემი აზრით, ამომრჩეველს უნდა მიეცეს საარჩევნო უბანზე წამყვანი როლი და არჩევნებიც შემთხვევითი წესით შერჩეულმა რიგითმა ამომრჩევლებმა უნდა ჩაატარონ. ასეთ სამ კაცს კი უბანზე ცესკო-დან წარგზავნილი მდივანი დაეხმარება, რომელიც ტექნიკურ საკითხებს მოაწესრიგებს. სხვა საკითხია, ეს რამდენად მისაღები იქნება ხელისუფლებისა და იმ პარტიებისთვის, ვისაც ცესკო-ში წევრი ჰყავს.

— დღეს, როცა ცესკო-ს თავმჯდომარე აღარ ხართ, აგვიხსენით, ტექნიკურად, რა სქემით იგებენ არჩევნებს ხელისუფლებები?

— საარჩევნო სისტემა ასეთია:

> **თუ ხელისუფლების რეიტინგი, რეალურად, სუფთა 20%-ია, ადმინისტრაციული რესურსით, უბანსა და ოლქებში ზეგავლენით, ყველაზე დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსებით, ამ მაჩვენებელს თავისუფლად იორმაგებს. ეს უკვე 40% გამოდის, რასაც მაჟორიტარული სისტემა ემატება და ამით, კიდევ, მინიმუმ, 20-25%-ს იბევებენ. ამ სქემით, 60-65%-იან რეიტინგზე ასვლა ძალიან ადვილია.**

— სისტემა ნაციონალების დროსაც ხომ ასეთი იყო?

— პირდაპირ რომ ვთქვათ, ნაციონალების დროსაც და მაგათ წინაც. სისტემა ირღვევა ერთადერთ შემთხვევაში:

> **თუ ხელისუფლების რეიტინგი რეალურ 20%-ზე ქვემოთაა და 50%-ზე მეტი ოპოზიციის ერთიან ფლანგს, ერთ ოპოზიციურ სუბიექტს მიაქვს. ეს სქემა 2012 წელს გათამაშდა. ნაციონალების სუფთა რეიტინგი 20%-ზე მეტი არ იყო, ადმინისტრაციული რესურსითა და ა.შ. 40%-მდე ავიდნენ და ამაზე გაჩერდნენ, ერთიანმა ოპოზიციურმა ფლანგმა, „ქართული ოცნების“ სახით, კი 50% წაიღო. არის მეორე სცენარიც — თუ ოპოზიციური ფრონტი გაყოფილია, ხელისუფლებას კი რეიტინგი მაინც 20%-ზე დაბალი აქვს, მაშინ 2003 წლის სცენარი თამაშდება — სკამებს არ თმობენ და რევოლუცია იწყება.**

ახლაც იგივე სცენარი რომ გათამაშდეს და ყველაფერი თუნდაც უსისხლოდ დასრულდეს, ქვეყანა რამდენიმე წლით უკან დაიხევს.

— მაშინ 2016 წელს რა იქნება, როცა ერთიანი ოპოზიციური ფრონტი არ არსებობს, პირიქით, რამდენიმე მსხვილი ოპოზიციური პარტია იკვეთება, ვთქვათ, ნაციონალები, ალასანია, ბურჯანაძე...

— ეს სისტემა თუ არ შევცვალეთ, ქვეყანა რეალური საფრთხის წინაშე დგება. თუ „ოცნების“ რეიტინგი 20%-ს ჩამოსცდა, ახალ 50%-იან ჯეკ-პოტს, ამ ვითარებაში, ვერც ერთი ოპოზიციური ძალა ვერ მოხსნის, როგორც ჩანს, ხმები გაიყოფა, რაც უკვე რევოლუციური სცენარია. იმის დანახვის გონი ყველას უნდა ეყოს, რომ ეს სისტემა ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემას ვერ უზრუნველყოფს. ეს ერთხელ უკვე მოხდა, მთელი 50% ერთმა ძალამ აიღო ოპოზიციიდან და წინა მთავრობამ დათმო — გასაკვირი ისაა, საერთოდ ასეთი პრეცედენტი რომ იყო, მაგრამ 2016 წელს ამის გამეორების შანსი ნულის ტოლია: ხმები გაიყოფა და ქაოსისკენ წავალთ. თანაც, მმართველი კოალიციის რეიტინგი სწრაფად იკლებს და ეს დაკლებული რეიტინგი სხვა პარტიას არ ემატება. თუ ზაფხულში მოქალაქეთა 35%-ს არ მოსწონდა არც ერთი პარტია, დარწმუნებული ვარ, ახლა ეს მაჩვენებელი 40, 50%-ის ფარგლებში იქნება. ესეც კრიზისისა და ქაოსის ნიშანია, რადგან ეს სეგმენტი შეიძლება, ვიღაც ახალმა, ავანტიურისტმა ძალამ წაიყვანოს და ის 50%-იანი ჯეკ-პოტიც მანვე მოხსნას.

> **მოკლედ, ეს ძალიან მარტივი და თავის დროზე, ჭვიანურად მოფიქრებული სისტემაა, ოღონდ ერთი ნაკლი აქვს: თუ ხელისუფლება ვითარებას ვერ მართავს, ქაოსისკენ მივდივართ. ეს სისტემა შევარდნაძის დროს ჩამოყალიბდა და მაშინ ხელისუფლების ცვლილებას რევოლუცია დასჭირდა. გასაძვრომი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ სისტემა შეიცვალოს. თუ ცვლილებები არ მოხდა, „ოცნებამ“ მთელი ცესკო დააკომპლექტა და არჩევნები ასე ჩაატარა, ხელისუფლებას კიდევ ერთხელ, არცთუ მცირე პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს. პოლიტიკური რესურსი „ოცნებას“ კი არა, არც ერთ ხელისუფლებას არ ეყოფა. ასე რომ, თუ არაფერი შეიცვალა, დიდი ალბათობით, 2016 წელს, მაქსიმალური დაძაბულობის დროს, ქვეყანა შესაძლოა, პოლიტიკურ ქაოსში აღმოჩნდეს.**

რა სოციალური პროგრამები დაფინანსდა ბიუჯეტით

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პროექტის „საქართველოს მთავრობა — ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, 3 დეკემბერს, სასტუმრო „ძველ თბილისში“, სამინისტროს ორი წლის მუშაობის შედეგები წარადგინა. პრეზენტაციას დაესწრნენ ვიცე-პრემიერები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, პარლამენტის წევრები, პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილი, ექსპერტები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, დონორი ორგანიზაციებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები.

ნოდარ ხადურმა ფინანსთა სამინისტროს ორწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა

ფინანსთა მინისტრის, **ნოდარ ხადურის** განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სწორი გადანაწილების შედეგად, გასული წლებისგან განსხვავებით, 2013-2014 წლების ბიუჯეტები რადიკალურად შეიცვალა და სოციალურად ორიენტირებული გახდა. საბიუჯეტო სახსრები კი მთლიანად, კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამაში გაწერილი და ხელისუფლების სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტების დასაფინანსებლად გამოიყო: **„ასაკით პენსიონერებისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია 150 ლარი გახდა, სხვა დანარჩენი კატეგორიის კი — 100 ლარი; ძალოვანი უწყებებიდან 2005 წლამდე დათხოვნილი პირების პენსიები განისაზღვრა წლებისა და მიღებული წოდებების მიხედვით; გაორმაგდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებები; ოჯახის პირველ წევრზე 30 ლარიანი დახმარება გაორმაგდა, ხოლო ყოველ მომდევნო წევრზე, 48 ლარი გახდა; 45 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობები; სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომია ყველასთვის, ამ მიზნით, დაფინანსება 300 მილიონზე მეტი ლარით გაიზარდა; მოიმატა მასწავლებელთა ხელფასებმაც, ათობით მილიონი ლარი გამოიყო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის; ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით. მოსწავლეები სასკოლო ავტობუსებით მგზავრობენ; დამატებითი რესურსი გამოიყო სტუდენტების სწავლის, პროფესიული განათლებისა და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად“.**

ხადურის თქმით, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წელს, პროექტისთვის „აწარმოე საქართველოში“, 20 მილიონ ლარამდე იყო გათვალისწინებული. **ნოდარ ხადური: „პარლამენტში წარდგენილია 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მუშაობის შედეგად, განისაზღვრა ძირითადი ფისკალური და მაკროეკონომიკური პარამეტრები. დეტალურ ინფორმაციას წარვადგენთ „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებთან დაკავშირებით. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის შესახებ. საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის გაზრდისა და სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წლის 1 იანვრიდან, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ოპერაციები მოექცევა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ყველა დონის ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესი კი სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიან სისტემაში — PFMS-ში“.**

2013 წლის გაზაფხულზე, პრემიერის დავალებით, მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია — „საქართველო 2020“. დოკუმენტის მიზანია ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში. ხადურის თქმით: **„სახელმწიფო ვალის მდგრადობა შენარჩუნებულია. ვალის მომსახურების პიკი 2013-2015 წლებზე მოდის, რაც ძირითადად განპირობებულია სსფ-ს სესხების მომსახურებით. ამჟამად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით, შეღავათიანი ფინანსური რესურსებისა და გრანტების სახით, დაახლოებით 2 085 000 000 აშშ დოლარის მოცულობის 45 პროექტი მიმდინარეობს. მათი განხორციელება დაგეგმილია 3-დან 5 წლამდე პერიოდში. 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე, ფინანსურ რესურსზე მთავრობის მიერ გასატარებელი რეფორმების მხარდაჭერისა და ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული პროექტების დაფინანსების მიზნით, დონორებთან გაფორმებულია შეთანხმებები, რომელთა ოდენობა დაახლოებით, 1 047 000 000 აშშ დოლარია. მიმდინარე პროექტები განკუთვნილია საგზაო, ურბანული და მუნიციპალური, წყლისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, განათლების, გარემოს დაცვის, დევნილების დახმარებისა და სხვა პროექტებისთვის“.**

2013-2014 წლებში, საქართველოში გაიმართა მსოფლიო ბანკისა და სსფ-ს ჯგუფის შეხვედრა და სახელმწიფო ვალის მართვის რეგიონული ფორუმი — ADB. დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი პროგრამა, 2015 წელს, საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB) წლიური შეხვედრები გაიმართება. საქართველო განაგრძობს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან. საქართველოს, Standard & Poor's-ის შეფასებით, „BB-სტაბილური“ რეიტინგი აქვს მინიჭებული. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-მა, 2014 წლის აგვისტოს შეფასებით, პირველად შეცვალა საქართველოს პერსპექტივა „სტაბილურის“ ნაცვლად „პოზიტიურით“. Fitch-მა მიმდინარე წლის ოქტომბერში, პირველად შეცვალა შეფასება „BB-სტაბილური“-დან, „BB-პოზიტიურამდე“.

ნოდარ ხადურის განმარტებით, ორ წელში, ლიბერალიზაციის მიმართულებით, მთავრობამ რიგი საკანონმდებლო ინიციატივები განახორციელა. მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა, კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისთვის, ასევე ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის მიმზიდველი, სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნაზეა ორიანტირებული: **„ამ მიზნით, არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. მათ შორის, მნიშვნელოვანი იყო დაუბეგრავი მინიმუმის ცნების შემოღება, რომლის საფუძველზეც, 400 000-ზე მეტ ფიზიკურ პირს, 2014 წელს უკვე დაუბრუნდა 128 მილიონ ლარზე მეტი. პროცესი გრძელდება. 2014 წლის 30 ივნისს, პარიზში, OECD-ის გლობალფორუმის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შეფასების პირველი ფაზის ანგარიში. აღნიშნეს, რომ საგადასახადო საკითხებში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება“.**

ხადურმა განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ბიზნესის დასატერორებელ, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად აღარ გამოიყენება. 2014 წლის იანვარ-ოქტომბერში, სამსახურმა სამართალდარღვევის 831 ფაქტი გამოავლინა. 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში — 706. მიმდინარე წლის 10 თვეში, ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის 9 ფაქტი გამოვლინდა; კორუფციული და სამოხელეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით — 55 ფაქტი. მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების — 9, ქრთამის აღების — 38, სამსახურებრივი სიყალბის — 3 და სამსახურებრივი გულგრილობის — 5 შემთხვევა, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა 70 პირის მიმართ დაიწყო.

ნოდარ ხადურის თქმით, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 დეკემბრამდე, გადამხდელთა სასარგებლოდ, სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილა მიღებული საჩივრების 44%, არ დააკმაყოფილა — 40%, ხოლო მომჩივანის მიერ, სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო, განუხილველი დარჩა 16%. 2013-2014 წლებში, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა თანხამ 10 311 510 ლარი შეადგინა: **„შეიქმნა და ფუნქციონირებს ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭო, რომელშიც დამოუკიდებელი ექსპერტები შედიან. შეხვედრებს ვმართავთ მედიის წარმომადგენლებთან და ამ მიზნით, ოთხი მედიატური მოეწყო საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე. ფინანსთა მინისტრთან მოქალაქეთა მიღების დღე დაწესდა და საზოგადოებრივი მისაღებიც ამოქმედდა. საჯარო ფინანსების ინტეგრირებული სისტემის მართვისა და ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვის მიმართულებით აქტიურად მუშაობს ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახური. ერთიან სისტემაში მოექცა საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვისა და მისი აღსრულების მთლიანი ციკლი“.**

2013 წლის 1 იანვრიდან, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მართვის სრულიად ახალი სისტემა და განახლებული ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა ამოქმედდა. იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, მთავრობის „ღია მმართველობის“ კურსის მხარდასაჭერად, ახალი ვებ-პორტალი შეიქმნა. საქართველოში პირველად დაინერგა eCloud — ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიების სრულფასოვანი მომსახურება. ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციული და კიბერ-უსაფრთხოების კუთხითაც აქტიურად მუშაობს: **„გადამხდელთა სწრაფი, ეფექტური და კვალიფიციური მომსახურების დონის ამაღლების მიზნით, მიმდინარე წელს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. გაიხსნა გაფორმების ეკონომიკური ზონა — „თბილისი 2“, დასრულდა საბაჟო-გამშვები პუნქტი — „ყაზბეგისა“ და სატვირთო ავტომობილების დასათვალიერებელი რამპის მშენებლობა, დასრულების ეტაპზეა საბაჟო-გამშვები პუნქტი — „კარწახის“ სარეკონსტრუქციო სამუშაოები. „ნინოწმინდისა“ და „ვალეს“ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე კი სტაციონარული რენტგენოსკანერების სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს, დაწყებულია „ნინოწმინდის“ საბაჟო-გამშვები პუნქტის მშენებლობა და „ლაგოდეხის“ საბაჟო-გამშვები პუნქტის რეკონსტრუქცია“.**

საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი კადრების შერჩევის მიმართულებით, ფინანსთა სამინისტრო აქტიურად მუშაობდა. მინისტრის განმარტებით, საანგარიშო პერიოდში, კონკურსის წესით, 2 157 თანამშრომელი დაინიშნა, სამინისტროს სისტემაში სტაჟირება 1 138-მა, ხოლო პრაქტიკა 1 005-მა ახალგაზრდამ გაიარა.

„ახალგაზრდა ფინანსთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტმა, **ნოდარ ჭიჭინაძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ მთავარი ვექტორი, რომლითაც ქართული ოცნება წინამორბედისგან განსხვავდება, სოციალური კუთხით გაზრდილი პასუხისმგებლობაა: **„მთავარი მიღწევა და შედეგი, სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტია. შესაძლოა, ამ ტიპის მემარცხენე მიდგომა ბევრისთვის მისაღები არც იყოს, თუმცა ქვეყანაში არსებული პრობლემების ფონზე, სხვა გადაწყვეტილების მიღება წარმოუდგენელია“.**

კომერციული ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა **ზურაბ გვასალიამ**, ყურადღება სოციალურად ორიენტიერებულ ბიუჯეტზე გაამახვილა და „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი მოსახლეობისთვის, ამ ტიპის ბიუჯეტი დადებით შედეგს მოიტანს: **„ის პარამეტრები, რომლებიც ფინანსთა მინისტრმა წარმოგვიდგინა, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური ზრდა 5%-ზე მეტი იქნება. ფაქტია, ჩვენნაირი ტიპის ქვეყანაში, მნიშვნელოვანია, რათა მთავრობამ და ფინანსთა სამინისტრომ ბიზნესს ხელი შეუწყოს“.**

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში, **გიორგი აბაშიშვილმა**, „ვერსიას“ განუცხადა, რომ ნოდარ ხადურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ნათლად ჩანს ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც მთავრობამ და ფინანსთა სამინისტრომ ორი წლის განმავლობაში გადადგა: **„ეს ნაბიჯები საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობასა და ფინანსთა სამინისტროს იმ ქმედებებს უკავშირდება, რომელიც ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო, რათა ბიზნესმა იგრძნოს, რომ ამ უწყებაში შემავალი სამსახურები მათ მიმართ მეგობრულად არიან განწყობილნი და ამა თუ იმ დავის ან პრობლემის გადასაჭრელადაც მზად არიან“.**

ვითიბი ბანკმა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კიდევ ერთი საწარმო დააფინანსა

ვითიბი ბანკმა, სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, კომპანია „ყვარლის ბაგა“ დააფინანსა. გაცემული სესხის მოცულობა 1.9 მილიონ დოლარსა და 100 000 ლარს შეადგენს.

კომპანია „ყვარლის ბაგა“ დაკავებულია ფერმაში მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებით და საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი ნატურალური რძის მწარმოებელია. ვითიბი ბანკის დაფინანსებით კომპანია გეგმავს ფერმის გაფართოებასა და რძის წარმოების მნიშვნელოვან გაზრდას.

სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ვითიბი ბანკმა უკვე ხუთი საწარმო დააფინანსა, სესხების მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი 13%-ია, საიდანაც სახელმწიფოს მიერ წლიური 10% ფინანსდება.

ვითიბი ბანკის კორპორატიული ბიზნესის დეპარტამენტის უფროსმა, **არჩილ უსანეთაშვილმა** განაცხადა:

„ვითიბი ბანკი აქტიურადაა ჩართული საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სამინისტროების სახელმწიფო პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ინდუსტრიული მიმართულებები. სახელმწიფო პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ბანკმა განსაკუთრებით გააააქტიურა აგრობიზნესის დაფინანსება, რაც ამ სექტორში დაკავებულ კომპანიებს წარმადობის გაზრდაში, ლოკალური და საექსპორტო ბაზრების ათვისებაში უწყობს ხელს“.

გარდაბნის გაძარცვული ქვესადგურის გასაიდუმლოების საქმე – ელექტროსისტემას თაღლითობაში ადანაშაულებენ

გიორგი იაშვილი

საქართველოს ენერგოსისტემა დღეს გამჭვირვალეა. კახა კალაძის უწყება გამართულად მუშაობს და კითხვები ნაკლებად არის, მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო. ენერგოსისტემები მუდამ საჯილდაო ქვას წარმოადგენდა და რეალურად, დახურული სისტემა გახლდათ. ყველაფერი კულუარებში ხდებოდა და წყდებოდა. ამის ნათელი მაგალითი ის ისტორიაა, რომელსაც მოგითხრობთ.

კომპანია „ჯორჯია ინვესტ ჯგუფი“ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას უპირისპირდება და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას სთხოვს. ყველაფერი წლების წინ დაიწყო, როდესაც საქართველოს ელექტროსისტემამ, ამორტიზირებული ელექტროქვესადგურების დემონტაჟთან დაკავშირებით, აუქციონი გამოაცხადა. ქვეყნის მასშტაბით ასეთი დაახლოებით ექვსი-შვიდი ქვესადგური არსებობდა, სადაც გამოუსადეგარი ელექტრონაწილები, ფერადი ლითონები და სხვა მასალა ინახებოდა. აუქციონზე გამარჯვებულ კომპანიას აღნიშნული ქვესადგურების დემონტაჟი და ამ მასალის გაყიდვა ევალებოდა. თანხას საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას გადაუხდიდა, რითაც ეს უკანასკნელი ამ ქვესადგურებს განაახლებდა.

აუქციონზე კერძო კომპანია „ჯორჯია ინვესტ ჯგუფმა“ გაიმარჯვა და ამ ქვესადგურების დემონტაჟიც სწორედ მას დაევალა. დაიდო ხელშეკრულება, რის შემდეგაც „ინვესტ ჯგუფი“ მოვალეობის შესრულებას შეუდგა. როდესაც საქმე გარდაბნის ქვესადგურის დემონტაჟზე მიდგა, კომპანიას გარკვეული პრობლემები შეექმნა. პრინციპში, ამას პრობლემაც არ ჰქვია — „ჯორჯიან ინვესტ ჯგუფის“ გენერალური დირექტორის, **თამაზ ჩიკვილაძის** თქმით, გარდაბნის ქვესადგური გაძარცული დახვდა: **„ზოგადად, ასეთი ტიპის ქვესადგურები სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია და უსაფრთხოების საკითხებს უშიშროება იცავს. ობიექტის ღირებულება ქაღალდზე იყო 240 000 ლარი, თუმცა ადგილზე მისულებს ამ ღირებულების მეხუთედი მასალა დაგვხვდა. მომხდარის შესახებ ელექტრონულ სისტემას ვუთხარით და შევთავაზეთ, სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეგვეტყობინებინა, რომ საქმე აღძრულიყო. ქვესადგურის ტერიტორიაზე კამერებია დამონტაჟებული და მარტივად შეიძლებოდა საქმის გამოძიება, თუმცა მითხრეს, ეს ამბავი არ გამეხმაურებინა და დემონტაჟი დამეწყო. ზარალს კი თავად ამინაზღაურებდნენ“.**

ამის შემდეგ, „ჯორჯიან ინვესტ ჯგუფსა“ და საქართველოს ელექტრონულ სისტემას შორის სიტყვიერი შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვით, კომპანია გარდაბნის ქვესადგურის დემონტაჟს ჩვეულებრივად გააგრძელებდა, მოგვიანებით კი, დანაკლის თანხას მიიღებდა: **„შეთანხმებაზე შეხვედრა ახალციხეში შედგა. შეხვედრას ჩემი უსაფრთხოების უფროსიც ესწრებოდა. მათ რამდენიმე დღე ითხოვეს, შემდეგ კი შემატყობინეს ამ ობიექტის ღირებულება გადამეხადა და დემონტაჟი დამეწყო. მითხრეს, დარჩენილ თანხას ჩვენ აგინაზღაურებთო. გარდაბნის ობიექტიდან მილიონზე მეტი უნდა ამომეღო და საბოლოოდ, ის თანხაც ვერ ამოვიღე, რაც გადავიხადე. ჯამში, 830 000 ლარი ვიზარალე. მპირდებოდნენ ზარალის ანაზღაურებას. როცა მივხვდი, ამ მხრივ არაფერი იცვლებოდა, შეგნებულად შევწყვიტე პროცესი, დავარღვიე ხელშეკრულების პირობები და შემდეგი ობიექტი აღარ ავიღე. შედეგად, ისინი ვაიძულე, სასამართლოში სარჩელი შეეტანათ ჩვენი კომპანიის წინააღმდეგ. ხელშეკრულების დარღვევაში მადანაშაულებენ და არსადაა ნახსენები, რომ თანხა აქეთ ჰქონდათ ჩემთვის გადასახდელი. ფიზიკურად აღარც თანხა გვქონდა, რომ სხვა ქვესადგური გვეყიდა. აუქციონი რომ გამეგრძელებინა, მერე სადავოც არაფერი იქნებოდა“.**

თამაზ ჩიკვილაძე აცხადებს, რომ მზადაა, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან და ოფიციალურად დაადასტუროს, რომ რეალურად ობიექტზე დახვდა იმ რაოდენობის მასალის მეხუთედი, რა რაოდენობაც ელექტროსისტემამ დაუსახელა. ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტებიც აქვს. მისივე თქმით, საეჭვოა ის საკითხიც, როგორ გაძარცვეს ასეთი მასშტაბის ქვესადგური. ობიექტი სახელმწიფო უსაფრთხოების დანიშნულებისაა და კონტროლდება უშიშროების მიერ. შესაბამისად, შეუძლებელი იყო, მასალების ჩუმად გატანა: **„ობიექტზე ისე ვერ შეხვალ, თუ დაცვის პოლიციასთან არ შეათანხმე. როგორ შეიძლება ოცდაათი ტონა სპილენძი ჩუმად გამოიტანო? ამისთვის ხომ ჯერ უნდა დაშალოს ის მოწყობილებები? ამ ყველაფრისთვის თვეებია საჭირო. ეჭვი მაქვს, ამის შესახებ ვიღაცებმა იცოდნენ. ამხელა ტერიტორიაზე, სადაც ყოველ ოც მეტრში დგას დაცვის პოლიციის ჯიხური, შესაძლებელია პირდაპირ ცხვირწინ აგაცალონ რამე? მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ქვესადგურის დემონტაჟიც არ კეთდებოდა ისე, როგორც საჭირო იყო. დაცვის ყოფილი უფროსი მოგვიყვა, რომ მანქანას ტროსს მიაბამდნენ, გამოქაჩავდნენ და ასე ანგრევდნენ შენობას, თუმცა ეჭვი მაქვს, სასამართლოზე ის ამას უარყოფს. ჩვენ შინაურულად მივუდექით, მაგრამ როცა გაიგო, შეიძლებოდა სასამართლოში მოწმედ გამოეძახებინათ, მაშინვე უარი თქვა. ასე მგონია, შეშინებულია“.**

ინფორმაციის გადასამოწმებლად საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დავუკავშირდით. **„მტკიცება, თითქოს გარდაბნის ქვესადგურში რაიმე სახის დანაკლისი ჰქონდათ, საფუძველსმოკლებული ბრალდებაა. შპს. „ჯორჯიან ინვესტ გრუპმა“ ჩვენს კომპანიასთან ხელშეკრულებიდან გამომდინარე გააფორმა ქონების გადაცემის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი და შემდგომ ამისა დაადასტურა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტრონულად გაგზავნილი შესაბამისი ანგარიშფაქტურის მიღების ფაქტი. იმ პერიოდში შპს. „ჯორჯიან ინვესტ გრუპს“ რაიმე სახის პრეტენზია არ წარმოუდენია და აღნიშნული ფაქტის გამო, არც შემდგომ სასამართლოში უჩივლია“,** — ნათქვამია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილ ოფიციალურ განცხადებაში.

მტყუანს და მართალს უახლოეს მომავალში სასამართლო გაარკვევს.

ქართველი „განგსტერი თხუნელები“ გერმანიაში დააპატიმრეს

ლელა ჩაჩავა
სპეციალურად „ვერსიისთვის“
გერმანიიდან (კოლნი)

საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო, ბევრი ახალგაზრდა უცხოეთში რომ გარბის ლუკმა-პურის ფულის საშოვნელად, არახალია. აღარც ისაა ვინმესთვის სიახლე, რომ უცხოეთში მამაკაცის სამსახურის პოვნა უფრო ჭირს, ვიდრე ქალისა. შესაბამისად, არაერთ ქართველ ახალგაზრდას უწევს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თავის გატანა არცთუ სახარბიელო მეთოდებით და მათ შორის ქურდობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. რამდენიმე დღის წინ, საფრანგეთში დააკავეს მძარცველთა ათკაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც, ძირითადად, ქართველები იყვნენ. სკანდალია ატეხილი გერმანიაშიც. ადგილობრივმა პოლიციამ დამნაშავეთა ჯგუფი დააკავა, რომელთა თავკაცები, 28 და 29 წლის ქართველი ძმები არიან. განსაკუთრებული აჟიოტაჟი კი იმან გამოიწვია, რომ მათ, ერთ-ერთი ოჯახის ძარცვის დროს, ოჯახის წევრ გოგონაზე ძალადობაც ედებათ ბრალად. ეს ამბავი, გერმანიაში თითქმის ყველა წამყვანი გაზეთის პირველ გვერდზე მოხვდა. ქართველებს „განგსტერი თხუნელები“ უწოდეს და საზოგადოებაშიც, ქართველოფობია ნელ-ნელა გაჩნდა. ამბობენ, ქართველის ხსენებაზე, ადგილობრივებს საშინელი რეაქცია აქვთ — პაპუასებად, თაღლითებად, მოძალადეებად აღგვიქვამენ... მეტიც, ბოროტი ხმები ქირქილებენ, ასე თუ გაგრძელდა, ამ ნაციის ადგილი დიდ ევროპულ ოჯახში არ მოიძებნებაო.

BONN/RHEINLAND Donnerstag, 27. November 2014

Später saß Irakli K. lachend im Gericht

Maulwurf-Boss stieg schon bei Pocher ein

Von ADNAN AKYÜZ und CARSTEN RUST

Köln – Er ist der Kopf der Maulwurf-Gangster – der Georgier Irakli K. (29). Bereits vor sechs Jahren wurde der

Krimineller einmal von der Polizei gefasst. Er war mit einem Komplizen in die damalige Wohnung von Moderator Oliver Pocher (36) eingebrochen. Am vergangenen Montag wurde K. erneut festgenommen. In der Zwischenzeit hatte er sich vom kleinen Einbrecher zum Chef einer Juwelen-Räuber-Bande hochgearbeitet.

Rückblick: Im April 2009 schnappten Kölner Beamte den Georgier und einen Komplizen, als beide gerade aus einem Mehrfamilienhaus in Rodenkirchen kamen. Sie waren dort in die Wohnung von Moderator Oliver Pocher und dessen damaliger Freundin Monica Ivancan (37), eingestiegen und hatten auf der Suche nach Beute alles verwüstet.

Auch bei Oliver Pocher brach Irakli K. ein.

K. und sein Kompel waren dabei als Handwerker im Blaumann verkleidet. Die Täter stahlen Pochers Playstation und drei Sonnenbrillen des Promis in eine Sporttasche.

Währenddessen bemerkten Nachbarn die kapitale Wohnungstür und riefen die Polizei. Als Irakli K. und sein Kompli die Beamten vor dem Haus sahen, schnappte er sich zur Tarnung zwei Kisten mit leeren Wasserflaschen aus der Wohnung. Beiden ist die Sporttasche im Treppenhaus zurück und versuchten unauffällig, das Haus zu verlassen. Doch daraus wurde nichts –

Fernsehen! Die Beute: Pfandflaschen im Wert von 8,60 Euro.

Im Kölner Landgericht wurde K. zwei Jahre später dreieinhalb Jahren verurteilt.

Die Strafe hielt Irakli K. nicht davon ab, nach seiner Entlassung mit seinem Bruder (28) gemeinsam die organisierte „Maulwurf-Bande" aufzubauen.

Nach seiner erneuten Festnahme in Oberdorf (KOSWO) berichtet eine Irakli K. jetzt Untersuchungshaft und wartet auf seinen Prozess.

Mesut und Ayla S. wohnen im gleichen Haus wie Irakli K.

29 წლის ირაკლის და მისი ძმის ხელმძღვანელობით, მძარცველთა ჯგუფს გოგონაზე ძალადობაშიც ედება ბრალი

ერო ჭრილებით „ოქროს საბადომდე“ მიაღწიეს და 10 000 ევროს ღირებულების განძი ჩაიგდეს ხელში“, — ავრცელებს ინფორმაციას გერმანული პრესა და „განგსტერი თხუნელების ძარცვის“ დეტალებსაც ასაჯაროებს.

მაღაზიის მეპატრონეს, ორშაბათს დილით, დაცლილი სალონი და აყრილი იატაკი დახვდა. პირველივე საგამოძიებო კვლევამ დაადგინა, რომ მძარცველებმა სალონის გვერდით მდებარე შენობიდან დაიწყეს თხრა. შენობის ქვემოთ დატანებული ტექნიკური სათავსო და სავენტილაციო-საჰაერო ჭრილები, პირდაპირ და საიმედო გზად დაისახეს. ბეტონის კედლებისა თუ ფილების გასაჭრელად წერაქვი, ბურღი და ხერხი გამოიყენეს. თხრილი იმდენად ვიწრო იყო, რომ ექსპერტებმა თავიდან თქვეს, მასში თხელი აღნაგობის ქალბატონი ან ბავშვი თუ გაძვრებოდაო. აღსანიშნავია, რომ ამ სალონის გაქურდვის მცდელობა, მანამდე ორჯერ დაფიქსირდა. „თხელი ქალბატონები“ ან „ბავშვები“ კი, საბოლოოდ, ქართველი ახალგაზრდები აღმოჩნდნენ, რომლებიც მედიამ „განგსტერ თხუნელებად“ მონათლა.

სამართალდამცავებისთვის მალე გახდა ცნობილი, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის მთავარი წევრი 29 წლის ქართველი ახალგაზრდა, ირაკლია. გაირკვა ისიც, რომ „თხუნელები“ ადრეული კრიმინალური შემთხვევის მონაწილეებიც არიან — 2009 წლის აპრილში, კოლნის პოლიციელებმა ირაკლი თანამზრახველებთან ერთად დააკავეს მრავალსართულიანი სახლის ერთ-ერთ ბინაში. მათ, ნადავლის ძებნაში, ცნობილი ტელეწამყვანის, ოლივერ პონას ბინა გააცამტვერეს. მაშინ ორი ქართველი ბინაში „ხელოსნის“ მისიით მოხვდა და იქ საშინელი ამბავი დატრიალდა. როცა ირაკლი კ-მ და მისმა თანმხლებმა პოლიციის თანამშრომლები ფანჯრიდან შენიშნეს, სასმელი წყლის ყუთებს სტაცეს ხელი, ნადავლი კი დატოვეს.

ბოლო ძარცვის შემდეგ კი სამართალდამცავებმა „განგსტერ თხუნელებს“ ცხელ კვალზე, შემთხვევის დაფიქსირებიდან რამდენიმე საათში მიაგნეს. მათ პოლიცია მაშინ დაადგა თავს, როცა ნადავლის გასაღებას ცდილობდნენ. პოლიციის უფროსი თანამშრომელი ჰერტალდ სიმონი განმარტავს: **„ყველაფერი მაშინ გახდა ნათელი, როცა ქართველი ძმების საცხოვრებელი ბინის წინ, მანამდე უკვე რამდენჯერმე შემჩნეული, არალეგალური საქონლის გამსაღებლის ავტომობილი გაჩერდა. მას გავყევით, ძმების ბინაში გაუჩინარდა და... ოპერაციაც დავიწყეთ“.** მძარცველები სამართალდამცავების დანახვისას ისე დაიბნენ, მოპარული 6 კილოგრამი ოქროსა და ბრილიანტის სამკაული აივნიდან გადაყარეს.

სამართალდამცავებმა, ქართველ ძმებთან ერთად, კიდევ 7 თანამონაწილე დააკავეს.

როგორც ირკვევა, ამ ჯგუფის მიერ, მინიმუმ 5 გრანდიოზული ძარცვაა ჩადენილი. 28 და 29 წლის ქართველები გერმანიაში უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობენ და ამ ქვეყანაში სათარეშოდ ერთადერთ ატრიბუტს — რუსი თაღლითისგან შეძენილ ყალბ პასპორტებს იყენებენ.

ზონაზე „ნამლის მოძრაობის“ სკანდალური სქემა

რას ნიშნავს „პერებროსი“, როგორ მზადდება „კოქტეიდი“ და რატომ აბრუებენ პატიმრებს ფსიქოტროპული პრეპარატებით

ვინ იყო 34 წლის ჯემალ ისაევი, რომელიც „რეზბალნიცაზე“ ჩამომხრჩვალი იპოვეს

პატიმარი №0578

ორი დღის წინ ციხის სამკურნალო დაწესებულებაში 34 წლის პატიმარი ჯემალ ისაევი ჩამომხრჩვალი იპოვეს. ჯერ-ჯერობით, ოფიციალური ვერსია თვითმკვლელობაა, თუმცა გამოძიება იმ ფონზე მიმდინარეობს, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრები თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავენ.

„თავი ძალიან უყვარდა, თავს არ მოიკლავდა, გამორიცხულია“, — განაცხადა გარდაცვლილის დამ, ნანამ. დედამ კი პირდაპირ თქვა, ციხეში ნარკოტიკი მოძრაობსო...

რა ხდებოდა და ხდება დღეს საქართველოს ციხეებში ნარკოტიკთან დაკავშირებით, ვინ იყო ჯემალ ისაევი, რატომ არ მოიკლავდა თავს და რა შემთხვევაში შეიძლებოდა, ამ მდგომარეობამდე მისულიყო?!

როცა ზონიდან სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი მიჰყავდათ, იშვიათი იყო, ვინმე დიდ ხანს გაეჩერებინათ. როგორც წესი, ნაოპერაციებ პატიმრებს მეორე (მაქსიმუმ მესამე) დღეს ზონაზე აბრუნებდნენ, რათა მათი უმრავლესობა, ნაკერების გახსნით, ინფექციით ან, უბრალოდ, ჭრილობის გართულებით, დაებრუნებინათ სამკურნალო დაწესებულებაში. ასეთი იყო იმ რეჟიმის მიდგომა, რომელმაც ციხეში სისასტიკე დაამკვიდრა. არც არავინ მალავდა, რომ საოპერაციოდ წაყვანილ პატიმრებს გლდანის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გვარიანად სცემდნენ... სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ ის შეიცვალა, რომ ნაკლებად სცემენ, ცემა-ტყეპის ტრადიცია კი გრძელდება. ეს 3 დეკემბერს, მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმაც დაადასტურა — არ უარვყოფ, რომ პატიმრებზე ფიზიკური ზემოქმედება ხდება, მაგრამ ამას სისტემური ხასიათი არ აქვსო.

ჩვენი ინფორმაციით კი... „გამორიცხულია, ციხე ისე მართო, ვიღაცას არ შემოარტყა. ცემა იყო, არის და იქნება, სხვანაირად ბადრაგი პატიმარს ვერ დაიმორჩილებს, ქვეცნობიერად ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოხვდება და ხვდება კიდეც. ახლა არ დამიწყო მორალის კითხვა, ადამიანის უფლებები და ათასი სისულე“, — ეს სიტყვები პატიმარ №0578-ს მისმა ძველმა ნაცნობმა ბადრაგმა მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს უთხრა, თუმცა ისაევს დავუბრუნდეთ...

რუსთავის №17 ზონაზე საავადმყოფოდან მიყვანილი პატიმრებიდან ერთ-ერთი აშკარად გამოირჩეოდა. კაცი მარტო ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი და სწორედ ამ არანორმალური სისუსტის გამო გადაადგილებაში ორი პატიმარი ეხმარებოდა, მესამეს კი ბარგი მოჰქონდა.

„ეს ვინ არის და რა სჭირს?!“ — ჰკითხა პატიმარმა №0578-მა ზონის მაყურებელს.

„ჯემოა, ისაევი... კინაღამ დაბრიდეს ცემით ამ ბოზებმა. ცემისგან მოეშალა ყველაფერი, მუცელში, მგონი, ნაწლავები დაუხეთქეს. რასაც ჭამს, უკან ამოაქვს, გადაადგილება უჭირს, ხანდახან, ინვალიდის ეტლში ჯდება და ისე დაგვყავს. რომ შეატყობენ, კვდებაო, გააქანებენ გლდანში, რეზბალნიცაზე, ისევ სცემენ, რაღაც ნამლებს გადააყლაპებენ და უკან მოჰყავთ. ცოცხლად კლავენ, რა, ბიჭს“, — ახსნა მაყურებელმა.

მეორე დღეს №0578-მა ჯემო მაყურებლების კამერაში ნახა. მიესალმა და გამოჰკითხა, გლდანის ციხის საავადმყოფოში რა ხდებაო?!

„რაღა რა ხდება, ძმა?! მივდივართ ნახევრად მკვდარი პატიმრები და მიღებაზე ცემაში გვხოცავენ. 20 კილო ვარ მგონი და მე რომ ხელს დამარტყამ, ხომ ხვდები, რა დამემართება. გვირტყამენ ყველას... ღმერთმა არ დაგაჭირვოს საავადმყოფო, თორემ ნახავ. ახლა ჩემი გამოშვება შეიძლებოდა? მაქსიმუმ ერთ კვირაში ისეთ დღეში ვიქნები, უკან უნდა დამაბრუნონ. ამ ვარონკით მგზავრობაც მბრიდავს და... კაროჩე, რა, ამათი დედაც... ბიჭებო, რაც გთხოვეთ, არ დაგავიწყდეთ“, — თქვა ჯემომ და ორი პატიმრის დახმარებით საკნიდან გავიდა.

„რა უნდოდა, იქნებ მე შემიძლია რამე?!“ — მაყურებლებს მიუბრუნდა №0578.

„არაფერი, კოქტეილი უნდა და შევუგროვებთ, რა“, — უპასუხა მაყურებელმა.

„ამას კიდევ კოქტეილი უნდა, ფეხზე ვერ დგას. მოკვდება, გადაირიეთ?“, — გაოცდა №0578 — კოქტეილი ფსიქოტროპული წამლების ნარევი იყო, რომელსაც პატიმრების ნაწილი სვამდა და შემდეგ მთელი დღე გამოთაყვანებული დადიოდა.

„სხვაგვარად ტკივილი მოკლავს, ღამე ვერ დაიძინებს, მაგის ღრიალი ცას მისწვდება. ექიმები ძლიერ გამაყუჩებლებს არ აძლევენ და „ციტრამონი“ რომ შველოდეს, ათი თეთრი არ ეღირება“, — უპასუხეს მაყურებლებმა.

ერთ კვირაში ჯემო რეზბალნიცაზე დააბრუნეს. ამჯერად, ორი დღით. სულ დადნა კაცი.

„აღარ წავალ რეზბალნიცაზე. მცემენ და უარეს დღეში მაგდებენ. ამის დედაც ვატირე... უნდათ გამაგიჟონ და თავი მოვიკლა, მაგრამ თავს არ მოვიკლავ, ამათ გავიყოლებ წინ“, — იძახდა ჯემო.

მერე ხელისუფლება შეიცვალა და პატიმრებმა ცოტა შვება იგრძნეს. ციხეში ფსიქოტროპულმა წამლებმაც იმატა. პატიმართა უკვე დიდი ნაწილი იჭყიპებოდა კოქტეილით და ერთ დღეს, პატიმარი №0578 ორ მეგობართან ერთად ზონის ექიმის კაბინეტში შევარდა.

„ბიჭო, შენ შიგ ხომ არ გაქვს, ამ ფსიქოტროპულებს საახალწლო კანფეტივით რომ არიგებ?! ახლა მთელ მუჭს გადაგაყლაპებ და ნახავ, როგორია ხალხის დაჩლუნგება. გიორგას სამი დოზა „პაკლოსანი“ რატომ გამოუწერე, ხარივით ბიჭია? არ იცი, რომ ეგ მერე სხვებს აძლევს და ისინი მთელი დღე სირებივით დადიან? ვისაც ერგება, იმას მისცემ, ვისაც არა და უარს ეტყვი, დღესვე გაუუქმებ „პაიკავოი“ წამალს, თორემ განანებ“, — ბოლო ხმაზე ღრიალებდა №0578.

„მაყურებლებთანაა ეგ შეთანხმებული. რასაც მეუბნებიან, ვაკეთებ“, — უკან არ დაიხია ექიმმა. მეგობრების წინააღმდეგობის მიუხედავად, პატიმარი მაყურებლების კამერაში ჩავიდა და თქვა: „არ დამიწყოთ, კაი ბიჭები ვართ და პალაჟენია მოვიყვანეთო. ხომ ხედავთ, ხალხი საბუთებზე და შეშის მოპარვაზე რომ იჯდა, ფსიქოტროპულებს იღებს. დასირდა ნაროდი, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, ასე არ შეიძლება. ექიმი თქვენ გადებთ ხელს, მაგათ მთხოვესო. იმასაც ამბობენ, ყველაზე დიდი დოზა სწორედ ამ კამერაში მოდისო. ხალხი იმას ვეღარ ხვდება, რა სჭირს, გამოთაყვანებული დადის. დაიბრიდება ვინმე და თქვენი ბრალი იქნება“.

„ვინ დაიბრიდება, რა გინდა? საერთოდ, რატომ ერევი?!“ — შეუღრინა ქუთაისის რეგიონის მაყურებელმა, მაგრამ ზონისამ გააჩერა, რა მოხდა, აქ უმიზეზოდ არ მოხვიდოდიო.

„რაღა რა მოხდა, ხალხი დასირებული დადის, ვერ ხედავ, ყველას თვალები აქვს ამოტრიალებული. ჩემს კამერაში ბებერი ლაშაია რომ წევს, ბრმანაწლავი გაუსკდა. მთელი ღამე „პაკლოსანს“ და რაღაცას ყლაპავდა. დილით წაიყვანეს, ძლივს გადაარჩინეს. ასეა მთელი ზონა. ვის რა სჭირს, კაცმა არ იცის. გვერდით კამერაში ტიპს სამი კვირა აქვს დარჩენილი და თოკზე ჩამოეკიდა, ეგეც ფსიქოტროპულების ბრალია. არ შეიძლება ასე, რამე გააკეთეთ, გააკონტროლეთ. პეხოტა კაიფში სად გინახავთ, ნუ გადამრიეთ. ის ჯემო აიღეთ თუ გინდა, ადრე საავადმყოფოში ხშირად დაჰყავდათ და არ მკურნალობდნენ, ახლა გამაყუჩებლებს იღებს დიდი დოზით და აღარ მიდის. რა იცი, რა სჭირს?!“

„შეგიძლია, შენ მოიფიქრო რამე, რომ წამალმა უკონტროლოდ აღარ იმოძრაოს?!“, — იკითხა მაყურებელმა.

„ციხის ექიმთან გამომყევი, რასაც ვეტყვი, გააკეთოს და ხვალიდან ეგ პრობლემა აღარ იქნება“, — გაუღიმა №0578-მა.

„მარტო ინტერესის გამო ღირს გაყოლა“, — გაეცინა მაყურებელს და გაყვა.

„მოკლედ, ფსიქოტროპულებს სიით ხომ არიგებ და ყველას თითო ტაბლეტი ხომ ერგება?! ვინც შემოვა, წამალს აქვე დალევს, ვინც არ დალევს, საერთოდ მოუხსნი და ხვალიდან აღარ მისცემ. ერთი ტაბლეტით ვერავინ იკაიფებს და ვერც იმ კოქტეილს გააკეთებს. გასაგებია?!“ — ჰკითხა პატიმარმა.

ექიმმა მაყურებელს გახედა, იმანაც უხმოდ დაუქნია თავი.

მეორე დღეს ზონაზე კინაღამ ბუნტი დაიწყო. პატიმრები მაყურებლის კამერას და ექიმის კაბინეტს შორის დარბოდნენ. ექიმს რამდენიმე სილაც მოხვდა და ბოლოს კაბინეტიდან გაიქცა. №0578 კმაყოფილი იყო. პატიმრები ვერაფერს ეუბნებოდნენ, რადგან იცოდნენ, ეს საქმე მაყურებლის სიტყვის გარეშე არ გაკეთდებოდა.

* * *

„მიროს გაუმარჯოს, ისევ პატიმრებს აგინებინებ თავს?!“ — №0578 და ციხის ბადრაგი ერთმანეთს რუსთავის უნივერმაღში 24 ოქტომბერს შემთხვევით შეხვდნენ.

„ჰო, ისევ იქ ვარ“, — გაეღიმა მიროს.

„რა ხდება ზონაზე, პალაჟენია ხომ არ გაფუჭდა?!“ — ჰკითხა ყოფილმა პატიმარმა.

„ძველებურად არის. ცოტა „პერებროსს“ შეეჩვივნენ ამ ბოლო დროს და რამდენიმეს სროკიც დაუმატეს, მაგრამ მაინც არის ხოლმე რა. სხვა ყველაფერი რიგზეა“.

„და პერებროსს ვერ აკონტროლებთ, კაცო?!“ — გაიოცა №0578-მა.

„ის დრო აღარ არის, შენ რომ გახსოვს. მოეშვა ცოტა და სარგებლობენ“, — უპასუხა ბადრაგმა.

„ანუ, ზონაზე წამალი მოძრაობს?!“

„არა, მასიურად არა, მაგრამ არის რა... იშოვება, თუ კარგად დაძებნი“.

P.S. „პერებროსი“ შემდეგნაირად ხდება. პატიმარი თავისუფლებაზე მყოფ მეგობარს უთანხმდება, რომ კონკრეტულ დღეს კონკრეტულ საათზე ზონის კედლის კონკრეტულ ნაწილთან იდგება. გარედან ზონის კედელთან მეგობარი ავტომობილით ჩაივლის და მაგალითად ორ ტაბლეტ სუბუტექსს ცელოფანში კენჭთან ერთად გაახვევს, სკოჩით შეკრავს და ჩვეულებრივი შურდულით ციხის კედლის იქეთ გაისვრის. იქეთ კი ჩასაფრებული პატიმარი თავისუფლებიდან შემოგზავნილ ნობათს იღებს და კორპუსში შერბის. ძალიან ცოტაა შანსი, ეს ვინმემ შენიშნოს, მაგრამ თუ შენიშნეს, პატიმარს მინიმუმ სამწლიანი სროკი დამატებული აქვს, თუმცა, როცა კაცს 15, 20 ან მეტი წელი აქვს მისჯილი, პლუს-მინუს სამ წელზე არ ფიქრობს.

ვერსიანიუსი

195-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია გააცნეს

შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებული, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია გრძელდება.

კამპანიის ფარგლებში, თბილისის 195-ე საჯარო სკოლაში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი იყო ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირება. მოსწავლეებს კამპანიის შესახებ ესაუბრნენ შს სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრები: შსს-ს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსი ნოდარ საკაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი ნინო კვიტაიშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ეკატერინე კენჭაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ წარმომადგენელი მანანა ფურცხვანიძე და ფსიქოლოგი ია აფთარაშვილი. სამუშაო ჯგუფის წევრებმა სკოლის მოსწავლეებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია გააცნეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კანონში შესული ცვლილებების შესახებ ისაუბრეს. 2013 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობა თავისუფლების 1 წლამდე აღკვეთით ისჯება.

შეხვედრაზე კამპანიის ფარგლებში შექმნილი სოციალური რგოლების ჩვენებაც გაიმართა. რგოლების მიზანია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე: „112“ ან მიმართონ უბნის ინსპექტორს, მოძალადეებმა კი მიიღონ გაფრთხილება, რომ ოჯახში ძალადობა თავისუფლების აღკვეთით ისჯება. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმა.

კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით მოხდება საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები კვლავ გრძელდება და თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, სხვადასხვა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართება.

„ვერსიანიუსი“

გასახდომი აბები კლავს!

სკანდალური სიმართლე, რომელიც ყველა ჭარბწონიანმა უნდა იცოდეს!

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

ლამაზი სხეული დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ბოლო დროს აქტუალურია სხვადასხვა დასახელების აბი, რომელიც ადამიანს გახდომაში ეხმარება — მადას აქვეითებს და ვუალა... ჭარბი წონა ვითომ არც ყოფილა... ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ საკითხავია: რამდენად ეფექტური და უსაფრთხოა ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული პრეპარატები? თუ უცხოელ ექსპერტებს დავუჯერებთ, ეს წამლები არც უსაფრთხოა და არც — ეფექტური. აი, რას წერენ ბრიტანელები, რომლებიც ამ წამლების შესახებ ინფორმაციას მითებად და რეალობად ყოფენ:

„გასახდომმა აბმა, წესით, მადა იმის ხარჯზე უნდა დააქვეითოს, რომ თავად გაფუვდეს კუჭში და არ მისცეს ადამიანს ზედმეტი საკვების მიღების საშუალება; ასევე, ცხიმს არ მისცეს ორგანიზმში გაჯდომის უფლება; შეიცავს ა, დ, ე ვიტამინებს, მაგრამ ეს მშვენიერი ზღაპარია. რეალობა კი ასეთი მომზიდველი არაა, რადგან ჭარბი წონის მოცილებას, ტკბილეულისა და ფიზიკური პასიურობის აკომპანიმენტით, „ჰეფი ენდი“ ნამდვილად არ აქვს. ეს პრეპარატები ჭარბ წონაზე არ მოქმედებს!!! ცხიმი დამოუკიდებელი პროდუქტია და თუ ორგანიზმს საჭირო რაოდენობით არ მიეწოდება, პრობლემებს ვერსად გავექცევით — კანის სიმშრალე, ჭრილობის შეხორცების ცუდი უნარი, ხშირი გაციება და ა.შ. რაც შეეხება მადის დაქვეითებას, 2-3 აბით კუჭი ისე ვერ გაივსება, ჭამა საერთოდ არ მოგვინდეს. ვიტამინები, რომლებსაც ეს აბები შეიცავს, ზღვაში წვეთია და, რა თქმა უნდა, საერთოდ არაა საკმარისი ორგანიზმისთვის“.

ეს დასკვნა მათთვის, ვისაც ჭარბი წონის აბებით მოშორება სურს, ნამდვილად არ იქნება მოსაწონი, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — თუ ადამიანი არ იღებს საჭირო რაოდენობით კალორიებს, ყოველთვის დამშეული იქნება და იმაზე მეტს შეჭამს, ვიდრე სწორი კვების შემთხვევაში.

მსოფლიო დიეტოლოგები აღიარებენ, რომ გასახდომი წამლები ყოვლად უსარგებლოა, თუმცა ეს ყველაზე უმნიშვნელო პრობლემაა იმასთან შედარებით, რაც ამ პრეპარატების მიღების შედეგად შეიძლება გაჩნდეს.

როგორც ირკვევა, მწარმოებლები ამ წამლებს არ არეგისტრირებენ როგორც სამკურნალო საშუალებებს და შედეგად, გვერდით ეფექტებზე კვლევის ჩატარების აუცილებლობა არ დგება — სწორედ ამიტომ არაა მითითებული ინსტრუქციაში კონკრეტული რისკები, მხოლოდ ზოგადი აკრძალვაა ორსულობისას და ძუძუთი კვებისას... და კიდევ ერთი: ამ აბების მიღება აკრძალულია 12 წლამდე ბავშვებისთვის, მაგრამ რა ხდება 13 წლის ბავშვების შემთხვევაში — მათთვის ეს პრეპარატები დასაშვებია?! უბრალოდ, დანაშაულია, მოზარდს დაალევინო გასახდომი წამლები მაშინ, როცა გარდატეხის ასაკში ნორმალური კვებაა აუცილებელი და, თუ ამ ვითომ აკრძალვას დავამატებთ მოზარდების მუდმივ უკმაყოფილებს საკუთარი წონით, მივიღებთ კატასტროფას.

არადა, მწარმოებელი „გვაფრთხილებს“, რომ წამლის ეფექტურობა მიიღწევა შესაბამისი დიეტითა და ფიზიკური ვარჯიშის შედეგად, თან თავსაც იზღვევს, თუ ვერ დაიკელით წონაში, ესე იგი, ბევრს ჭამდით და ნაკლებს ვარჯიშობდითო.

აქვე, შეუძლებელია, ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ იმას, რომ გასახდომი პრეპარატები აქვეითებს იმუნიტეტს და იწვევს ალერგიას, აღარაფერს ვამბობთ ლეტალურ შედეგებზე...

არავის დაშინებას ვცდილობთ, უბრალოდ, ერთ მაგალითს გაგისახელებთ: რამდენიმე წლის წინ, საფრანგეთში, სერიოზული სკანდალი აგორდა პრეპარატ „მედიატორთან“ დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ამ წამალს დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა — როცა პაციენტებს ჭარბი წონა აწუხებდათ, სწორედ „მედიატორი“ ინიშნებოდა და ასე ებრძოდნენ სიმსუქნეს, მაგრამ მისმა პოპულარობამ ნელ-ნელა პიკს მიაღწია — ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წამალი მადას აქვეითებს, ელვისებური სისწრაფით გავრცელდა და უკვე 2009 წლისთვის, „მედიატორის“ მომხმარებელთა რაოდენობამ ორ მილიონს გადააჭარბა. წამალი 1976 წლიდან იწარმოებოდა და აკრძალვამდე, დაახლოებით, 500 ადამიანი გარდაიცვალა მისი მოხმარების შედეგად, 3 500 ადამიანის კი ჰოსპიტალიზება გახდა საჭირო. მიუხედავად ამისა, საფრანგეთი ჯიუტად ავრცელებდა „მედიატორს“ თავის ბაზარზე; არადა, სხვადასხვა ქვეყანა ნელ-ნელა რწმუნდებოდა მის მავნებლობაში: აშშ-მ მისი გაყიდვა ჯერ კიდევ 1997 წელს აკრძალა, იტალიამ და ესპანეთმა — 2005 წლიდან.

საინტერესოა, გასახდომ პრეპარატებს ადამიანებისთვის ერთი სარგებელი მაინც თუ მოაქვთ და რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? — ალბათ, არცთუ სახარბიელო. თუ ამ წამლების პოპულარობას გავითვალისწინებთ, ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ ჭარბი წონის მოსაშორებლად სპეციალისტებთან ნაკლებად დადიან და ურჩევნიათ, ათასნაირი წამალი დალიონ... „ვერსიის“ კითხვებს, ექიმი ენდოკრინოლოგი, **მერი დავითაძე** პასუხობს:

— ჭარბი წონა ან სიმსუქნე ბევრად კომპლექსური პრობლემაა, ვიდრე უბრალოდ, ენერგიის მიღებასა და გაცემას შორის არსებული დისბალანსი. ჭარბი წონის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება, ჰორმონალური დარღვევები განვიხილოთ. ცნობილია მთელი რიგი ენდოკრინული დაავადებები, რომელთა დროსაც ვითარდება სიმსუქნე. ზოგიერთი ჰორმონის კონცენტრაციის სიჭარბე განაპირობებს მადის მატებას, ცხიმების გაძლიერებულ წარმოქმნასა და მათ „ჩალაგებას“ მუცლის ღრუს ორგანოების გარშემო, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის დაავადებასთან. აქედან გამომდინარე, ჰორმონალური დისბალანსი იწვევს სიმსუქნეს და, პირიქით, სიმსუქნის განვითარებამ შეიძლება, სერიოზული ჰორმონალური ძვრები გამოიწვიოს ორგანიზმში. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, როგორებიცაა: გენეტიკური წინასწარგანწყობა, ფიზიკური აქტივობის ნაკლებობა, სქესი, ასაკი, ეთნიკური და კულტურული ფაქტორები და ა.შ.

— საქართველოში ჭარბ წონას როგორ ებრძვიან და გასახდომი აბები თუა ეფექტური?

— სიმსუქნის სამკურნალო პრეპარატების გამოყენება ცხოვრების წესის გაუმჯობესებასთან ერთად(!) უფრო ეფექტურად ამცირებს სხეულის მასას და მეტია კლინიკურად მნიშვნელოვანი კლების ტენდენციის შენარჩუნების ალბათობა, განსხვავებით პლაცებოსგან, თუმცა ეს პრეპარატები ყველა პაციენტში თანაბრად ეფექტური არაა. სამკურნალო საშუალების შერჩევა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, რასაც აფასებს მკურნალი ექიმი.

— აბების ექიმის დანიშნულების გარეშე მიღება შეიძლება? ეს რა რისკთანაა დაკავშირებული?

— ექიმის დანიშნულების გარეშე მხოლოდ სიმსუქნის სამკურნალო პრეპარატების კი არა, სხვა წამლების მიღებაც არაა სასურველი.

სიმსუქნის სამკურნალო საშუალებებს მრავალი უკუჩვენება აქვთ. არასწორად შერჩეულმა პრეპარატებმა შეიძლება, განავითაროს ისეთი არასასურველი გვერდითი ეფექტები, როგორებიცაა: არტერიული წნევის მატება, თავისტკივილი, უძილობა, ნერვული აგზნება, მოუსვენრობა, დაღლილობა, პრეპარატისადმი დამოკიდებულება, გულისრევა/ღებინება, შეკრულობისადმი მიდრეკილება, დიარეა, პირის სიმშრალე და ა.შ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პრეპარატის მიღებისას პაციენტი აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს მკურნალი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

— ჩვეთან ჭარბი წონის სამკურნალოდ ენდოკრინოლოგთან ან დიეტოლოგთან ვიზიტის კულტურა არსებობს?

— ეს კულტურა ნელ-ნელა მკვიდრდება, რაც ერთი მხრივ, იმ ფაქტმა განაპირობა, რომ გაიზარდა პაციენტების ინფორმატიულობა ამ გლობალური პრობლემის შესახებ; მეორე მხრივ, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სიმსუქნის სამკურნალო პრეპარატების უმეტესობა გაიცემა რეცეპტით, რაც, ჩემი აზრით, სამედიცინო სფეროში წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან მსგავსი რეგულაცია პაციენტს იძულებულს ხდის, მისთვის საჭირო წამლის მისაღებად მიმართოს შესაბამისი პროფილის ექიმს. ამ ყველაფრის შესაბამისად, მცირდება პაციენტების მიერ თვითნებურად მკურნალობის დაწყება.

— პაციენტისთვის გასახდომი აბები დაგინიშნავთ?

— არა, რადგან სამკურნალო საშუალებების ეფექტურობა, თუ მათ მიღებას პაციენტის მიერ ცხოვრების წესის მოდიფიკაცია ანუ რაციონალური კვება და ფიზიკური აქტივობის რეჟიმის მოწესრიგება არ ახლავს, უმნიშვნელოა. გარდა ამისა, გასახდომ პრეპარატებს, როგორც უკვე აღვნიშნე, გააჩნია მრავალი გვერდითი მოვლენა, რამაც შეიძლება, უფრო მეტი ზიანი მიაყენოს ორგანიზმს, ვიდრე — სარგებელი. ამის გათვალისწინებით, ჩემს პაციენტებს მოვუწოდებ — ვიკვებოთ სწორად, ვიყოთ ფიზიკურად უფრო აქტიურები და ჯანმრთელები!

ხორცი და ნახევარფაბრიკატები მომწამლავია

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი, გიორგი მიქაძე აცხადებს, რომ წყლის 2911 ნიმუშიდან 837 დადგენილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. მიქაძის ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში მონიტორინგის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სურსათის 3600 ნიმუშის აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა. ამ დროისთვის აღებულია 2991 ნიმუში. **„დარღვევების 80% მიკრობიოლოგიურია. ამასთან დაკავშირებით მივწერეთ წერილები შესაბამის უწყებებს. პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებში გამოიკვეთა“,** — აცხადებს მიქაძე და ამხელს, რომ დარღვევები აღმოჩენილია ხორცსა და ხორცპროდუქტში, ძირითადად კი ნახევარფაბრიკატებში.

გიორგი მიქაძემ სააგენტოს მიერ განხორციელებულ ინსპექტირებაზეც ისაუბრა. დღემდე 3500-მდე ინსპექტირება განხორციელდა, მათ შორის 1733 გეგმური, 475 არაგეგმური და 1210 გადამოწმება: **„გამოვლენილი დარღვევის გამო 281 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 400 ლარით, 17 კი 1200 ლარით. საწარმოო პროცესი შეუჩერდა 98-ს. 4 საჯარო სკოლის (№113, №112, №171 და №156) ბუფეტი დაიკეტა კრიტიკული შეუსაბამობის გამო. მათ გამოასწორეს მდგომარეობა და ბუფეტები უკვე გახსნილია. დარღვევები შეეხებოდა ტექნოლოგიურ პროცესს, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევას, პერსონალის ჰიგიენას და სარემონტო სამუშაოებს, რომელიც ამ ბუფეტებში არ ტარდებოდა. საწარმოო პროცესი ჩერდება მაშინ, როცა გამოვლენილმა დარღვევამ შეუსაბამობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას რისკი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“.**

„ვერსია“ ექსპერტ **ზურაბ ფუტკარაძეს** დაუკავშირდა.

— წყლისა და საკვების სტანდარტებთან დაკავშირებით, თუ ნაწლავის ჩხირზეა საუბარი (რაც მომატებულია), მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია. ნაწლავის ჩხირი შეიძლება დაავადების პირდაპირი გამომწვევი არ იყოს, მაგრამ მაჩვენებელია, რომ ესა თუ ის პროდუქტი დაბინძურებულია. როდესაც საკვები პროდუქტი სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ჩვენთან კვლევები ტარდება პათოგენური მიკრობების არსებობაზე და იმაზე, მიღებისთანავე იწვევს თუ არა პროდუქტი მოწამვლას, მაგრამ არის სხვა მაჩვენებლებიც — შეიძლება ადამიანი არ მოიწამლოს, მაგრამ როცა სხვადასხვა ნივთიერება ორგანიზმში გროვდება, წლების განმავლობაში უარყოფით შედეგებს იწვევს. უხარისხო კვება, სტანდარტებთან შეუსაბამო პროდუქტი თითქმის ყველა ორგანოზე, სისხლძარღვებზე, საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, თავის ტვინზე ნეგატიურად მოქმედებს. სწორედ ამის გამო მოიმატა ბოლო პერიოდში ქვეყანაში დაავადებების რიცხვმა. ავიღოთ გულ-სისხლძარღვოვანი, ონკოლოგიური დაავადებები, რომლის ერთ-ერთი ფაქტორი არაჯანსაღი საკვების მიღებაა.

— კონკრეტულად რომელი ნივთიერებები მოქმედებს ორგანიზმზე უარყოფითად?

— თითქმის ყველა პროდუქტი შეიცავს კვებით დანამატებს, ე.წ. ემულგატორებს, რომელიც ვადის გასახანგრძლივებლად, ფერის, გემოს მისაცემად ემატება. ეს არ არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს. ორგანიზმში მისი აკუმულირება ხდება და გარკვეულ ზღვარს რომ მიაღწევს, ზემოქმედებას იწყებს. ზედამხედველობის სამსახურები, ლაბორატორიები ამ მიმართულებით ნაკლებად მუშაობს. უფრო სხვადასხვა მიკროორგანიზმებით პროდუქტების დაბინძურებას იკვლევენ; ესეც საშიშია, რადგან ეფექტს უცბად იძლევა, მწვავე მოწამვლას იწვევს, მაგრამ, როდესაც პროცესი ქრონიკულ დაავადებაში გადადის, ორგანიზმში სისტემური ცვლილებები ხდება. ამ დროს სწორედ ზემოაღნიშნული ნივთიერებები იჩენს თავს.

— რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ სფეროში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

— ვერ ვიტყვი, რომ მდგომარეობა საგანგაშოა, მაგრამ გასაუმჯობესებელი ნამდვილად არის. ძალიან მნიშვნელოვანია და ევროკავშირთან ხელშეკრულებაშიც ბევრი მუხლი თუნდაც ამ კუთხითაა, როგორ უნდა იმუშაოს ამ სამსახურმა და რა უნდა გაკეთდეს. პირველ რიგში, ლაბორატორიული კონტროლი უნდა გამკაცრდეს. ჩვენი ლაბორატორია სუსტია და ყველა ინგრედიენტზე ანალიზები ვერ კეთდება.

ასევე, მნიშვნელოვანია, თვითონ მეწარმეები უფრო სინდისიერად იყვნენ განწყობილნი. ბიზნესის საწარმოებლად, პროდუქტის გასაყიდად ასეთ მაქინაციებს, იგივე ემულგატორების, სხვადასხვა კვებითი დანამატების გარევას მიმართავენ. შესაბამისად, ამ კუთხით პასუხისმგებლობა ბიზნესოპერატორებმაც უნდა აიღონ. კონტროლი უნდა გამკაცრდეს, იმ კუთხით, რომ ლაბორატორიული ქსელი გტაფართოვდეს და უფრო სრულყოფილი იყოს. როგორც ვიცი, ამაში ევროკავშირი გვეხმარება, მილიონობით ევროს გრანტებზეა საუბარი; ისეთი ქსელი უნდა შეიქმნას, რომელიც საკვებ პროდუქტს სრულყოფილად გააკონტროლებს.

სახელმწიფომ საყდრისი-ყაჩაღიანს უძრავი ძეგლის სტატუსი კანონდარღვევით მიანიჭა

სასამართლოში მოდავე მხარეებს „ახალგაზრდა ადვოკატები“ მორიგებას სთავაზობენ

საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ვრცელი კვლევა და სარეკომენდაციო წინადადებები წარადგინეს, რომელიც ობიექტის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების შესწავლის შემდეგ მოამზადეს. როგორც „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, კვლევა ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს პასუხობს, რომელიც საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე საზოგადოებაში გაჩნდა.

საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა და დისკუსია დღემდე გრძელდება. „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ მომზადებულ ვრცელ კვლევაში აშკარად ჩანს, თუ რა სამართლებრივი მოქმედებები განხორციელდა საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან და შემდგომ, ამ სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით; კანონმდებლობით, რა რეგულაცია მოქმედებს კულტურული და არქეოლოგიური ძეგლის სტატუსის მინიჭებასა თუ მოხსნასთან დაკავშირებით; საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პროცესში, რამდენად კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებდა სახელმწიფო; საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, რა სამართლებრივ მტკიცებულებებს ეფუძნება საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები; როგორ უნდა შეფასდეს სახელმწიფოს როლი, ინვესტორის უფლებები და საჯარო ინტერესი საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხთან დაკავშირებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება მხოლოდ 2006 წლიდან გვხვდება. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ძველ, სამართლებრივ აქტებში არ გვხვდება. არჩილ კაიკაციშვილის განმარტებით: **„2006-2007 წლებში, სახელმწიფომ, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, სათანადო კვლევის გარეშე, კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ამ ობიექტისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო. მართალია, ამ ობიექტს უძრავი ძეგლის სტატუსი 2013 წელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა კომისიის სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნის საფუძველზე მოუხსნა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ესეც არასწორია, რადგან ასეთი გადაწყვეტილება მინისტრს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე უნდა მიეღო“.**

კაიკაციშვილის თქმით, სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შექმნას, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, ინვესტორი კომპანიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და არსებული ეკონომიკური ინტერესები არ დაირღვევა. მეტიც, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სარეკომენდაციო წერილებით მიმართეს საქართველოს მთავრობას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და სასამართლოში მოდავე მხარეებს, რათა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, სამართლებრივი მექანიზმი შეიქმნას. **არჩილ კაიკაციშვილი: „ამისთვის აუცილებელია, სახელმწიფო უწყებებმა შემდეგი ნაბიჯები გადადგან: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, თავად უზრუნველყოს 2013 წლის 5 ივლისის სადაო ბრძანების გაუქმება, რომლის საფუძველზეც საყდრისი-ყაჩაღიანს ძეგლის სტატუსი მოეხსნა; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ფართომასშტაბიანი შესწავლა განახორციელოს; საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მინიჭება-არმინიჭების საკითხი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გადაჭრას; კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის შემდგომი ბედი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა უნდა განსაზღვროს მას შემდეგ, რაც სამინისტრო ამ ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-არმინიჭების საკითხს გადაწყვეტს; საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს სამინისტროს მიერ, ამ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, ოღონდ მათი ზეგავლენისგან თავისუფალ ვითარებაში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების გარემოებების დადგენისა და სწორი სამართლებრივი ანალიზის პირობებში; ჩვენ, „ახალგაზრდა ადვოკატები“, მოვუწოდებთ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით, სასამართლოში მოდავე მხარეებს — საქართველოს მთავრობას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კომპანია „არ ემ ჯი გოლდსა“ და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“, ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, მიიღონ გადაწყვეტილება, რათა სასამართლო დავა მხარეთა შორის მორიგებით დასრულდეს“.**

მაია მიშელაძე

უპრეცედენტო ინიციატივა m² უძრავი ქონებისგან – დეველოპერული კომპანია შშმ პირებისთვის სამშენებლო პროექტების ადაპტაციის გეგმას ქმნის

დეველოპერული კომპანია **m² უძრავი ქონება**, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის გარემოს ადაპტირებას განაგრძობს. m² საქართველოში პირველი დეველოპერი გახდება, რომელიც შეიმუშავებს და სტანდარტის სახით დაამკვიდრებს, სამშენებლო პროექტების დაგეგმვის ეტაპზევე, ყველა კატეგორიის შშმ პირების მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებას უნივერსალური დიზაინის დაცვით. აღნიშნული გეგმა შესაძლებელს გახდის, საცხოვრებელი თუ კომერციული ფართი დაიგეგმოს იმგვარად, რომ გარემო ბარიერებისაგან მაქსიმალურად თავისუფალი იყოს და მოერგოს ნებისმიერი ადამიანის შესაძლებლობას. ამისთვის m²-ს, კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის გაუწევს კონსულტაციას. მხარეებმა თანამშრომლობის მემორანდუმს უკვე მოაწერეს ხელი.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, m²-ის სამშენებლო კომპლექსები სრულად იყოს ადაპტირებული და შეესაბამებოდეს შშმ პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ჩვენ აქამდეც ვმონაწილეობდით გარემოს ადაპტაციის პროექტებში — ფონდ „სიცოცხლის ხის“ მხარდაჭერით, უკვე დავაფინანსეთ: ვაჟა-ფშაველას გამზირის სრული ადაპტაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 183 პანდუსი დამონტაჟდა; ყაზბეგის გამზირი კი 107 პანდუსით აღიჭურვა. m² სოციალური პროგრამების ფარგლებში, მსგავს პროექტებში მონაწილეობას მომავალშიც აუცილებლად მიიღებს“, — აღნიშნა კომპანია m² უძრავი ქონების გენერალურმა დირექტორმა, **გიორგი ვახტანგიშვილმა**.

m²-ს მსგავსი პროექტების განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადეს არასამთავრობო ორგანიზაცია კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის წარმომადგენლებმა. ორგანიზაციის თავმჯდომარის, გიორგი ძნელაძის განმარტებით, m² ქართულ ბაზარზე „პირველი მერცხალია“, ვინც აღნიშნული საკითხით დაინტერესდა. **გიორგი ძნელაძე: „ჩვენი ორგანიზაცია 24 არასამთავრობოს აერთიანებს. ჩვენ მოვიცავთ, შშმ პირთა ყველა კატეგორიას. როცა ვახსენებთ „ადაპტაციას“, რატომღაც მაშინვე ეტლით მოსარგებლე ადამიანი წარმოგვიდგება ხოლმე თვალწინ. არადა, ადაპტირებას ყველა კატეგორიის შშმ ადამიანი საჭიროებს. m²-თან დეტალურად ვისაუბრებთ იმ ტექნოლოგიებისა და საშუალებების შესახებ, რაც ადაპტირებისთვისაა საჭირო. დეველოპერულმა კომპანიამ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, მით უმეტეს, უნივერსალური დიზაინი მხოლოდ შშმ პირებს არ დააინტერესებს — ადაპტირებული, უბარიერო გარემო მოხუცებსაც გაუადვილებს ცხოვრებას“.**

„ადაპტაციის გეგმა“, რომელსაც m² და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის შეიმუშავებენ, დაეყრდნობა გაერო-ს 2006 წლის 13 დეკემბრის „შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციას“, რომელიც შშმ პირთათვის დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისთვის შესაბამისი ზომების მიღებას ითვალისწინებს. გეგმა შეიქმნება სახელმძღვანელოს სახით და მის გამოყენებას ნებისმიერი არქიტექტორული კომპანია შეძლებს. გეგმა შეეხება როგორც ნაგებობას, ასევე ეზოსა და ბინის ინტერიერს. ასევე შეიქმნება შშმ პირთათვის ადაპტირებული ბინის სველი წერტილის, ჩამრთველის, კარისა და ინტერიერის სხვა ელემენტების მოდელები.

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ასევე მოახდენს კომპანია m²-ის ახალი სამშენებლო პროექტების მშენებლობის პროცესისა და დასრულებული შენობების მონიტორინგს. დასრულებულ მშენებლობას გადაეცემა კომპლექსის შშმ პირებზე სრულად ადაპტირების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

დეველოპერული კომპანია m²-ის მიზანია, ყველა მიმდინარე და სამომავლო პროექტის ფარგლებში, იზრუნოს ადამიანებისთვის კომფორტული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მათ შორის შშმ პირებისთვის გარემოს ადაპტაციაზე.

ნინო ლურსმანაშვილი

1. საფრანგეთის მეფეების სასახლე
2. გალაკტიონის ლექსი
3. აკაკის ძიძის სოფელი
4. შებოლილი ხორცი
5. იგივეა, რაც კატის კნუტი
6. რომაელთა ზეესი
7. აღორძინების ხანის მოქანდაკე
8. ბადე ბილიარდის მაგიდის კუთხეში
9. ქსელის მთავარი კომპიუტერი
10. იტალიელი ფერმწერი
11. ყველაზე გრძელი მთათა სისტემა
12. სასწორის თეფში
13. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი
14. განუხორციელებელი ოცნება
15. მწერის განვითარების სტადია
16. თბილისის უბანი
17. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
18. ქართული ყურძნის ჯიში
19. დიონისეს დედა
20. რ. ვაგნერის ოპერა
21. ყურის ანთება
22. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
23. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
24. სისხლის შენადედი
25. ქართ. ანბანის ბოლო ასო
26. სხვადასხვა მხარეს მზირალი თვალები
27. მოკლეფეხება ძაღლის ჯიში
28. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
29. იგივე საწებელი
30. ისრის წვერი
31. ბებერი მგლის სახელი ვაჟას მოთხრობაში „ამოდის, ნათდება“
32. სოფელი ყაზბეგის რაიონში
33. თვითმფრინავის კიბე
34. ვარსკვლავთა კრებული
35. კაკლის შიგთავსი
36. რიცხვის მესამე ხარისხი
37. ჰოლივ. მსახიობი რასელ ...
38. მონარქიული ქვეყნების კავშირი
39. იგივეა, რაც წლოვანება
40. დიდი თეფში
41. სოფლის ქოხი უკრაინაში
42. იგივეა, რაც არჩევი
43. შესანახად გამზადებული ხორცი
44. სამი მექსიკოსის ანსამბლი
45. მდინარე ორამჩირის რაიონში
46. საფრენი აპარატის მართვის სპეციალისტი
47. ბერძნული ანბანის მეცამეტე ასო
48. ნაბიჯი ცეკვაში
49. ლენინის გვარი
50. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
51. აუქციონზე გასაყიდი ნივთი
52. ნორვეგიის დედაქალაქი
53. კანის ფერის მიხედვით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი
54. მაროს სატრფო ფალიაშვილის ოპერაში „დაისი“
55. ეკლიანი ბალახი
56. კაპიტალისტური წარმოებისა და ვაჭრობის ხანმოკლე ზრდა
57. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
58. ქიმიური ელემენტი, მეტალი
59. თვალის ფერადი გარსი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲐᲖᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗᲐᲐ

ბარსელონას უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ახალი სიტყვების ათვისებისას ადამიანი ისეთივე კმაყოფილებას განიცდის, როგორსაც აზარტული თამაშებისას. ექსპერიმენტისას, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეშვეობით, მოხალისეების ტვინის აქტიურობა შეადარეს ახალი სიტყვების სწავლისას და აზრტულ თამაშებში მონაწილეობისას. აღმოჩნდა, რომ ორივე პროცესში, მოზრდილ ადამიანებში თავის ტვინის ის ნაწილი აქტიურდება, რომელიც კმაყოფილებას უკავშირდება. თანაც, წარმატება ენის სწავლისას იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერად აქტიურდება ტვინის შესაბამისი უბანი. სხვათა შორის, ბრიტანელი ნეირობიოლოგების მონაცემთა მიხედვით, ტვინს შეუძლია ახალი სიტყვა 15 წუთზე ნაკლებ დროში დაიმახსოვროს. საამისოდ კი მხოლოდ 160-ჯერ მოსმენაა საჭირო.

ᲓᲐᲥᲗᲘᲥᲜᲐᲠᲔᲑᲐᲛᲔ ᲤᲘᲚᲢᲕᲘ ᲐᲣᲮᲔᲗᲘᲥᲐ

ჩინელმა მამაკაცმა, ოუმ ფილტვი იმ მომენტში გაიხეთქა, როცა დილით, სამსახურში წასვლამდე, ახლადგაღვიძებულმა, ტკბილად დაამთქნარა და გაიზმორა. მედიკოსები ამბობენ, რომ ახალგაზრდის ამ უჩვეულო ტრავმაში „დამნაშავე“ აღნაგობაა — იგი საკმაოდ მაღალი და გამხდარია. დამთქნარებისას ოუმ მოულოდნელად მკერდის არეში ტკივილი იგრძნო, მაგრამ სამედიცინო დახმარებისთვის მაშინვე არ მიუმართავს. თუმცა, გაძლიერებულმა ტკივილმა ამის გაკეთება მაინც აიძულა. გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა აუხსნეს, რომ სპონტანური პნევმოტორაქსი გადაიტანა. ეს მაშინ ხდება, როცა ფილტვებთან ჰაერი „ხაფანგში“ აღმოჩნდება ხოლმე. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი პროცესი სპონტანურად ხდება, ზოგჯერ კი გულმკერდის არეში ტრავმის ან ფილტვების დაავადების შედეგია და ის მამაკაცებში ოთხჯერ ხშირად გვხვდება, ვიდრე ქალებში.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ტᲐტᲣ ᲒᲐᲘᲙᲔᲗᲐ

ამერიკელმა ქალბატონმა, რომელსაც 103 წელი შეუსრულდა, დაბადების დღეზე თავს საჩუქარი მიუძღვნა და ტატუ გაიკეთა. დილიდან ამერიკელი შვილიშვილებთან ერთად გასართობად კაზინოში წავიდა, სადაც ბედმა გაუღიმა და მოიგო. მერე კაფეში წავიდნენ და იქ იმდენი მიირთვა, რამდენიც ჩაეტია მუცელში. შემდეგ კი სალონს მიაკითხეს, სადაც ტატუ გაუკეთეს. აღმოჩნდა, რომ ამის გაკეთება ამერიკელ ბებიას ჯერ კიდევ სამი წლის წინ, საუკუნოვან იუბილეზე უნდოდა, მაგრამ მაშინ მხოლოდ ტატუს კონტური გაბედა. ახლა კი გამბედაობა მოიკრიბა და ტატუს ოსტატს ნახატი დაასრულებინა. მოხუცის შვილიშვილები ამბობენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმამდე ბებია დერმატოლოგთან იყო, რომელმაც მოუწონა ჩანაფიქრი. ხანდაზმული ქალბატონი აცხადებს, რომ მთელი ცხოვრება ავანტიურიზმისკენ იყო მიდრეკილი. როცა 100 წელი შეუსრულდა, გადაწყვიტა, ცხოვრებისგან ყველაფერი მიეღო და ისეთი რაღაც გაეკეთებინა, რაზეც არასოდეს იფიქრებდა. მომავალ იუბილეზე მხცოვანი ქალბატონი ლას-ვეგასის სტუმრობასა და მამაკაცების სტრიპტიზ-შოუზე დასწრებას გეგმავს.

სუდოკუმანია

ადვილი

4	5	3						
		2	9				4	
	7			3			5	
1			8	2				
7	3						2	1
				7	5			9
	6			1			8	
	9				2	5		
						3	7	4

სტანდარტი

8								7
		1		9	8			
		2			5			4
	5	8				7		
		7	9		1	8		
		9				4	2	
5			3			6		
			8	2		3		
7								2

რთული

3				7	6		4	
			8	4			6	
		4			1		8	
7		3				4		1
				6				
9		8				7		6
	7		4			3		
	3			5	9			
	1		6	3				5

ექსპერტი

				9	8	7		
					5		4	
			2		7			8
	2	9					3	
	3	5				6	9	
	6					1	8	
4			8		1			
	5		7					
		8	6	2				

საიდ მოვძებნოთ კარგი ქმარი

სწავლულებმა ამჯერად იმის გარკვევა სცადეს, რომელი ქვეყნის წარმომადგენელი ძლიერი სქესია ყველაზე კარგი მეუღლე. მათი თქმით, იაპონელი მამაკაცი ბედის საჩუქარი ნამდვილად არ არის — ურთიერთობაში ძალიან მოზომილი, თავდაჭერილი და ძუნწია. არ ერევა ოჯახურ საქმეებში, არ დადის საყიდლებზე და ბიუჯეტის განკარგვასაც მთლიანად ცოლს ანდობს. მთავარია, სახლში ყოველთვის იყოს მოხარშული ბრინჯი — სხვა პრეტენზია ქმარს ამომავალი მზის ქვეყნიდან, არ აქვს. მკვლევარების მტკიცებით, ქალმა გერმანელი მეორე ნახევარი უნდა ინატროს — ამ შემთხვევაში ცხოვრება მაშინვე ჩვეულ კალაპოტში დგება. გერმანელი მამაკაცი თანაბრად ინაწილებს ოჯახის ტვირთს, აქტიურად მონაწილეობს შვილების აღზრდაში, მკაცრად გეგმავს ბიუჯეტს; ცოტა პედანტია, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ არასოდეს დაყრის საკუთარ ნივთებს უადგილო ადგილას და საოცარი ერთგულებით გამოირჩევა.

რაც შეეხება ფრანგ მამაკაცს, ნუ შეიქმნით ილუზიას — ის დიდი ხანია, გადაეჩვია ქალის პატივისცემას, ჭირვეული, ძუნწი, აბეზარი და თან მოღალატე მეუღლის სახელით სარგებლობს. გაურბის პასუხისმგებლობასა და ზოგადად, ყველაფერს, რაც საზრუნავს მატებს;

სკანდინავიელები — შვედი, ნორვეგიელი და ფინელი მამაკაცი მეოჯახეა. სადილსაც ამზადებს, თუმცა ალკოჰოლისკენ აქვს მიდრეკილება. აქაური ქალი კი გაცილებით ემანსიპირებულია და ეს ოჯახურ ურთიერთობებზეც აისახება.

თავში ჯოხგაყრილი კაცი გადარჩა

40 წლის პოლონელი, კამილ პოდვინსკი თავად მივიდა საავადმყოფოში მას შემდეგ, რაც თავში 38-სანტიმეტრიანი ჯოხი შეერჭო. დაზარალებულმა მედიკოსებს აბსოლუტურად მშვიდად უამბო, რომ უბედური შემთხვევა სახლის რემონტის დროს მოხდა — ფეხი აუცურდა და უხერხულად დაეცა, თავი კი იქვე დადებულ ხის „რეიკას“ ჩამოარტყა. ჯოხმა თავის ქალა გახვრიტა, გამჭოლი ჭრილობა კი იმდენად გრძელი აღმოჩნდა, მამაკაცი რენტგენის აპარატში ვერ მოათავსეს. მედიკოსები იძულებულნი გახდნენ, მაშველები გამოეძახათ, პაციენტის თავში გაჩრილი ჯოხის ნაწილი რომ მოეხერხათ. საბოლოოდ პოდვინსკი სხვა კლინიკაში გადაიყვანეს და იქ ექიმებმა მოახერხეს ავადმყოფის თავიდან სარის გამოღება. მამაკაცი გადარჩა და ახლა რეაბილიტაციას გადის.

დამწყებ მსახიობებს კურიერებად ამუშავებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში საჭმლის მიწოდების ახალი სერვისი Platinum Lunch ამოქმედდა, სადაც კურიერებად ახალგაზრდა მსახიობები და მოდელები მუშაობენ. კლიენტს სუსტი სქესის ასეთ წარმომადგენელი რომ მოემსახუროს, სამი დღით ადრე უნდა გააკეთოს შეკვეთა — გოგონამ უნდა მოასწროს მისატანი კერძების გაცნობა და მასში შემავალ ყველა ინგრედიენტზე კლიენტს მოუთხროს. კურიერი გოგონები მხოლოდ კორპორატიულ კლიენტებზე მუშაობენ — მათ მიაქვთ საჭმელი ოფისებში, სემინარებსა და შეხვედრებზე, მაგრამ არა სახლში. მომსახურების საფასური 30 ათასი იენია (დაახლოებით 263 დოლარი). ცალკე გადასახადის შემთხვევაში გოგონები კამპანიის გასაწევადაც რჩებიან ან სუფრის გაწყობას თანხმდებიან.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	7	6	8	1	9	5	3	4
5	4	3	2	6	7	1	9	8
8	9	1	5	4	3	7	2	6
3	8	5	7	2	6	4	1	9
1	6	4	3	9	8	2	7	5
9	2	7	4	5	1	8	6	3
6	3	2	1	8	5	9	4	7
4	5	9	6	7	2	3	8	1
7	1	8	9	3	4	6	5	2

სტანდარტი

9	4	2	5	1	8	7	3	6
6	1	7	4	3	2	5	9	8
8	3	5	9	7	6	4	2	1
5	6	4	3	9	1	2	8	7
3	2	1	6	8	7	9	5	4
7	9	8	2	5	4	1	6	3
2	8	6	1	4	9	3	7	5
4	7	3	8	2	5	6	1	9
1	5	9	7	6	3	8	4	2

რთული

2	3	7	6	5	1	9	4	8
8	4	1	9	7	3	2	6	5
9	6	5	8	4	2	7	3	1
6	7	9	1	3	8	5	2	4
5	8	4	7	2	6	3	1	9
1	2	3	5	9	4	8	7	6
4	9	8	3	1	7	6	5	2
3	5	2	4	6	9	1	8	7
7	1	6	2	8	5	4	9	3

ექსპერტი

7	2	1	4	9	8	3	6	5
3	9	6	7	2	5	4	8	1
8	5	4	3	6	1	2	9	7
5	1	9	6	3	2	8	7	4
6	4	7	1	8	9	5	3	2
2	8	3	5	4	7	6	1	9
1	7	8	2	5	6	9	4	3
4	6	2	9	1	3	7	5	8
9	3	5	8	7	4	1	2	6

მე-12 გვერდი: 1. ნესტან; 2. სტინგი; 3. ასტრა; 4. ასო; 5. ალუდა; 6. ობობა; 7. ტალავერი; 8. ორისაბა; 9. რეიდი; 10. კლეი; 11. იაკი; 12. კოლიე; 13. ეტიკეტი; 14. ბალასტი; 15. ევა; 16. რკინის არნი; 17. სენა; 18. აგა; 19. ვიოლეტა; 20. ბუდე; 21. ლესკოვი; 22. საათი; 23. ამირანი; 24. ფრე; 25. დუნაი; 26. კინგი; 27. „კონკია“; 28. ბაკარა; 29. პირანია; 30. ჰესიოდე; 31. ისარა; 32. პარიკი; 33. ხეა; 34. აკრა; 35. ჰერაკლე; 36. საბზა; 37. დიახ; 38. ბივა; 39. ოჰაიო; 40. ემე; 41. ბიზე; 42. რობინია; 43. უშბა; 44. ხვალ; 45. აპოხტი; 46. ლას; 47. სანჩო; 48. ბუი; 49. „ჰერტა“; 50. ანოა; 51. კარიერა; 52. ჰავა; 53. კლაუსი; 54. ბადე; 55. ილი; 56. სინაი; 57. უზი; 58. ნობელი; 59. ნაი; 60. სტრომბოლი; 61. ქიმი; 62. ფიალა; 63. ესკიმო; 64. ონი; 65. იონია; 66. ემა; 67. ექო.

რამდენი ბაქტერია გადადის კოცნით

ადამიანის ორგანიზმში 100 ტრილიონი მიკროორგანიზმი ცხოვრობს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკვების გადამუშავებაში, საკვები ნივთიერებების სინთეზსა და დაავადებების თავიდან აცილებაში. მხოლოდ პირში 700-ზე მეტი ბაქტერია „ბინადრობს“. სწავლულებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, რამდენად მსგავსი მიკროფლორა აქვთ პარტნიორებს და 21 წყვილს კოცნის შესახებ ანკეტის შევსება სთხოვეს. საუბარია მხოლოდ ვნებიან კოცნაზე, რომელიც ენით კონტაქტსა და ნერწყვის გაცვლას ითვალისწინებს. ექსპერიმენტისას ერთ-ერთ პარტნიორს მისცეს სასმელი პრობიოტიკით, რომელიც კონკრეტული ბაქტერიის ნაირსახეობებს შეიცავდა. წყვილის ვნებიანი ამბორის შემდეგ მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ პრობიოტიკური ბაქტერიების რაოდენობა მეორე პარტნიორის ნერწყვში სამჯერ გაიზარდა.

სულ რაღაც 10 წამის განმავლობაში, კოცნით დაახლოებით 80 მილიონი ბაქტერია გადავიდა. გარდა ამისა, სპეციალისტებმა გაარკვიეს, თუ პარტნიორები საკმაოდ ხშირად კოცნიან ერთმანეთს (დღეში 9-ჯერ მაინც) მათ პირის ღრუში მსგავსი ბაქტერიები „იდებენ ბინას“. ასე რომ, მიკროფლორა დაკავშირებულია არა მხოლოდ ადამიანის ცხოვრების წესზე, გენეტიკაზე, ასაკზე, დიეტასა და პირად ჰიგიენაზე, გავლენას ახდენენ ის ადამიანებიც, ვისთანაც მჭიდრო კონტაქტი გვაქვს.

1. ყვავილის მდედრობითი სასქესო ორგანო
2. თოვლის ფანტელი
3. გოშო სამი თვიდან წლამდე
4. პიანისტი მუნჯი კინოს სეანსზე
5. მერვე მუსიკალური ინტერვალი
6. ამა თუ იმ ენის ბგერითი შედგენილობა
7. გრძელი ბალანი ცხენის კისერზე
8. ტარიელის სამშობლო „ვეფხისტყაოსანში“
9. დედნიდან ზუსტად გადაღებული ტექსტი
10. ლითონის თავბრტყელი და ბოლოწვეტიანი ღერო
11. კენტ-ჩლიქიანი ცხოველი პატარა ხორთუმით
12. საშჭოთა ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა ნაპოლეონ ბონაპარტის შესახებ
13. გიორგი დანელიას ფილმი
14. საფრანგეთის სამეფო ტახტის ტიტული
15. ვიოლინოს წინაპარი
16. დედამიწის ბრტყელი ნახაზი
17. იტალ. მწერალი უმბერტო ...
18. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
19. სიტყვის ნაწილი, რომელიც ფუძეზე დართვისას მნიშვნელობას უცვლის მას
20. კონსტანტინე გამსახურდიას მდინარე
21. ისრის წვერი
22. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
23. თავდაცვწყებით გატაცება
24. ახლადგამოჩეკილი თევზი
25. სამხედრო და პოლიტიკური ლიდერის ტიტული ძველ მონღოლეთში
26. ღმერთის სახელი იუდაიზმში
27. დიდი გერმანელი კომპოზიტორი
28. აშშ-ის საპორტო ქალაქი
29. ტონგას სამეფოს დედაქალაქი
30. ინდოეთის ფულის ერთეული
31. სტალინის პარტიული ფსევდონიმი
32. ბიბლიური აბრაამის უფროსი ვაჟი
33. ქართული ყოველკვირეული ჟურნალი
34. სოიას ხაჭო
35. ჩეზურაშკას მეგობარი ნიანგი
36. პლანეტა იუპიტერის ძველქართული სახელწოდება
37. შუაზიელი მხედართმთავარი თემურ-...
38. ქიმიური ელემენტი, მეტალი
39. ყვავის მსგავსი ფრინველი
40. ყველაზე დიდი ანტილოპა
41. უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
42. მაკედონიის რესპუბლიკის დედაქალაქი
43. მოჭიქული ან მოუჭიქავი კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილა, იგივე კაფელი
44. ძალიან იშვიათი ნივთი
45. კოლხი მედეას დედა
46. ქართული ანბანის პირველი ასო
47. ვიშნუს მერვე ავატარა
48. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
49. ნახევარკუნძული აზოვის და შავ ზღვას შორის
50. ზიმბაბვეს დედაქალაქი
51. მხარზე გადასაკიდი ქსოვილის ჩანთა
52. გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლ. მსლებლები
53. ბინძური თავლების პატრ.
54. კედლის სანათი
55. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
56. ინგლის. ეკონომისტი და ფილოსოფოსი
57. სამხრეთ ამერიკული სირაქლემა
58. შინდის გამხმარი ნაყოფი
59. აზია-ევროპის სასაზღვრო ქედი
60. ინგლისელი ფეხბურთელი მაიკლ ...
61. პოეტ ბესარიონ გაბაშვილის ფსევდონიმი
62. დუნაის ყველაზე გრძელი შენაკადი
63. კუზიანი ხარი
64. იგივეა, რაც წყლის შროშანი
65. ტროესის სახეობა
66. აპოლოდისმენტი
67. აღმოსავლური ხორციანი კერძი
68. მსუბუქი თვლემა
69. ბოროტი არსება სკანდინავ. მითოლოგიაში
70. სიმღერის ალტერნატიული ვერსია
71. მუსიკალური გამის II ნოტი
72. რამდენიმე პატრიციული გვარის გაერთიანება ძველ რომში
73. ბალახის ჩრდილი
74. შექსპირის ერთ-ერთი ტრაგედია
75. ფრანგი მომღერალი მირეი ...
76. ვოლტერის ნამდვილი გვარი
77. დაუსაბუთებლად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად
78. ზღვრული ნორმა
79. (ძვ.) სასახლე
80. დინჯი, აუჩქარებელი
81. აზერბაიჯანის დედაქალაქი
82. ვიოლინოს დასაკრავი ჯოხი
83. სოფელი და ბალნეოლოგიური კურორტი ზუგდიდის რაიონში
84. უეცარი შიში
85. ჯინსის სამოსის ამერიკული მარკა

სვიტერი ფერს განწყობის შესაბამისად იცვლის

ამერიკელმა დიზაინერებმა მაღალი ტექნოლოგიები ტანსაცმელშიც გამოიყენეს და სვიტერი შექმნეს, რომლის საყელოც, პატრონის განწყობის მიხედვით, ფერს დღეში რამდენჯერმე იცვლის. ახალი პროდუქცია სან-ფრანცისკოში მდებარე კომპანიაში Sensoree შეიქმნა. საყელოს ფერი მაშინ იცვლება, როდესაც სპეციალური სენსორები აფიქსირებს, რომ მომხმარებლის გუნება-განწყობა შეიცვალა. მაგალითად, თუ ის მწვანე ფერს იღებს, ესე იგი, სვიტერის პატრონი მშვიდადაა, თუ იისფერი შეფერილობა მიიღო — ის ცოტა აღელვებულია, წითელი ფერი კი მიანიშნებს, რომ ადამიანი საკმაოდ ნერვიულობს, ან ის პიროვნება დაინახა, რომელიც უყვარს. თუ საყელო გაყვითლდა — ეს პატრონის აღტაცებაზე, აღფრთოვანებაზე მიუთითებს. როგორც ირკვევა, ამ მაღალტექნოლოგიურ სვიტერს შეძენის საკმაოდ ბევრი მსურველი გამოუჩნდა, თუმცა, ჯერჯერობით, მასობრივ გაყიდვაში არ არის და არც მისი ფასია ცნობილი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.